სოფლის მეურნეობისა და ადგილობრივი განვითარების სისტემების გენდერული შეფასება

Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

Swiss Cooperation Office
South Caucasus

WITH FUNDING FROM
AUSTRIAN DEVELOPMENT COOPERATION

UN WOMEN
United Nations Entity for Gender Equality and the Empowerment of Women

სოფლის მეურნეობისა და ადგილობრივი განვითარების სისტემების გენდერული შეფასება

Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

Swiss Cooperation Office
South Caucasus

WITH FUNDING FROM
AUSTRIAN DEVELOPMENT COOPERATION

act

UN WOMEN
United Nations Entity for Gender Equality and the Empowerment of Women

კვლევა მომზადებულია ანალიზისა და კონსულტაციის გუნდის (ეისითი) მიერ. კვლევის ტექნიკურ და ფინანსურ მხარდამჭერებს წარმოადგენენ: გაეროს ქალთა ორგანიზაცია გენდერული თანასწორობის და ქალთა გაძლიერებისთვის (UN Women), სამხრეთ კავკასიაში შვეიცარიის თანამშრომლობის ოფისი და ავსტრიის განვითარების თანამშრომლობა.

ამ პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შესაძლოა არ გამოხატავდეს გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women), გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (United Nations) ან რომელიმე მისი წევრი ორგანიზაციის, სამხრეთ კავკასიაში შვეიცარიის თანამშრომლობის ოფისისა და ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის მოსაზრებებს.

დიზაინი: ნატა ყუბანეიშვილი

ფოტო: იუსტინა მელნიკევიჩი

დაიბეჭდა შპს „ფაუნტეინ ჯორჯიას“ მიერ

© გაეროს ქალთა ორგანიზაცია, სამხრეთ კავკასიაში შვეიცარიის თანამშრომლობის ოფისი და ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის ფონდი 2016

ISBN 978-9941-0-8670-0

შინაარსი

აბრევიატურები		4
მოკლე მიმოხილვა		5
შესავალი		8
1.	შეფასების მეთოდოლოგია	9
2.	წინაპირობა	10
3.	ძირითადი მიგნებები და დასკვნები	13
4.	რეკომენდაციები	38
გამოყენებული ლიტერატურა		41

აბრევიატურები

ALCP	მცირე კავკასიის ალიანსების პროგრამა
CBO	სათემო ორგანიზაციები
CSS	სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი
DRC	დანიის ლტოლვილთა საბჭო
FAO	სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია
GRB	გენდერული ბიუჯეტი
SCO	შვეიცარიის თანამშრომლობის ოფისი
UN Women	გაეროს ქალთა ორგანიზაცია
ეისითი	ანალიზისა და კონსულტაციის გუნდი

მოკლე მიმოხილვა

სოფლის მეურნეობისა და ადგილობრივი განვითარების სისტემების გენდერული შეფასების კვლევა განხორციელდა კვლევითი კომპანია „ეისითის“ მიერ, გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women), სამხრეთ კავკასიაში შვეიცარიის თანამშრომლობის ოფისისა და ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის ტექნიკური და ფინანსური მხარდაჭერით. კვლევაში წარმოდგენილია ცენტრალური თუ ადგილობრივი მთავრობებისა და დონორი ორგანიზაციების მიერ, სოფლის მეურნეობასა და ადგილობრივ განვითარებასთან დაკავშირებული არსებული პოლიტიკის, განხორციელებული პროგრამებისა და სისტემების უახლესი ანალიზი გენდერულ ჭრილში. კვლევა მოიცავს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკასა და საქართველოს ხუთ რეგიონს: კახეთს, სამცხე-ჯავახეთს, ქვემო ქართლს, შიდა ქართლსა და სამეგრელო-ზემო სვანეთს. ეს ის რეგიონებია, სადაც შვეიცარიის თანამშრომლობის ოფისმა, ავსტრიის განვითარების თანამშრომლობამ და გაეროს ქალთა ორგანიზაციამ თავიანთი აქტივობები განახორციელეს.

დასკვნები და რეკომენდაციები ეყრდნობა კვლევის თვისებრივი და რაოდენობრივი კომპონენტების კომბინაციის შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზს, მათ შორის: შესაბამისი კვლევებისა და ლიტერატურის მიმოხილვას, 30 ინტერვიუს ძირითად ინფორმანტთან და 16 ფოკუსურ ჯგუფურ დისკუსიას, ასევე, სამიზნე რეგიონებში 2400 რესპონდენტთან (მათ შორის 53% – ქალი და 47% – კაცი) ჩატარებულ რაოდენობრივ კვლევას. კვლევაში წარმოდგენილია ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები შესაბამისი სამინისტროებისა და ადგილობრივი მთავრობებისთვის პოლიტიკის შემუშავებისა და ინსტიტუციონალური თუ ოპერაციული გაუმჯობესების კუთხით. ამასთან, მოცემულია რეკომენდაციები პარტნიორებისთვის თავიანთი პროგრამული ინტერვენციების მიმართულებით. კვლევის ძირითადი მიგნებებია:

გენდერული თანასწორობა არ არის ან არასაკმარისად არის გათვალისწინებული შესაბამის ცენტრალურ, რეგიონულ და სოფლის დონეზე წარმოებულ პოლიტიკაში: კაცებისა და ქალების, ბიჭებისა და გოგონების განსხვავებული საჭიროებები, ინტერესები და შეხედულებები ხშირად არ არის გათვალისწინებული. აშკარაა სინერგიის ნაკლებობა გენდერული თანასწორობის პოლიტიკასა და სექტორული სოფლის მეურნეობისა და რეგიონული განვითარების პოლიტიკას შორის. სამინისტროებს ნაკლებად აქვთ გენდერულად სენსიტიური საკითხების პროპაგანდის სტრატეგიები და ხშირად არც ფლობენ მონაცემებს სქესის მიხედვით, რაც შესაძლებელს გახდიდა ქალისა და კაცის განსხვავებული საჭიროებების ანალიზს ან გატარებული პოლიტიკისა და განხორციელებული პროგრამების ზეგავლენის შეფასებას გენდერის ჭრილში. ცენტრალური სახელმწიფო სტრუქტურების ზოგიერთი თანამშრომელი კარგად არ არის ინფორმირებული გენდერული თანასწორობისა და გენდერული ღირებულებების შესახებ. ძლიერი, ცენტრალურ დონეზე ინსტიტუციონალური მექანიზმის ჩამოყალიბება გენდერული თანასწორობისთვის, ქალების გაძლიერება აღმასრულებელ მთავრობაში, ასევე, სქესის მიხედვით გაანალიზებული მონაცემების მოპოვება და შეფასება მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნებოდა სამინისტროთა შორის კოორდინაციის გაზრდისთვის და სამთავრობო პოლიტიკის განმსაზღვრელ დოკუმენტებში გენდერული მეინსტრიმინგისთვის.

კონტექსტისთვის სპეციფიკური სოციალური თუ კულტურული ბარიერები და არაანაზღაურებადი სამუშაო ხელს უშლიან ქალებს, გასცდნენ არსებობისთვის საკმარის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას და აფერხებენ მათ ჩართვას აქტიურ, შემოსავლის მომტან სასოფლო-სამეურნეო ბიზნესში. არსებული ტრადიციული გენდერული შეხედულებების გამო, ქალები ნაკლებად არიან ჩართულები აქტივობებში თავიანთი შინამეურნეობის გარეთ. სიტუაცია თითქმის ერთნაირია ყველა სამიზნე რეგიონში, თუმცა აღსანიშნავია ქალების პასიურობა (ენობრივი და კულტურული ბარიერების გამო) ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ ადგილებში – ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში, თუმცა გენდერული სტერეოტიპები ხელს არ უშლიან ქალების ჩართულობას საარსებო სასოფლო-სამეურნეო აქტივობებში: კაცებთან შედარებით, ქალები საშუალოდ 80 დღით მეტს მუშაობენ მიწათმოქმედებასა და მეცხოველეობაში, თუმცა მათი ჩართულობა ამ ძირითადად უფასო შრომაში აღიარებული არ არის. ქალები ასევე არიან ოჯახის წევრების მთავარი მომვლელები და

სახლის საქმეების უმეტეს ნაწილსაც სწორედ ისინი ასრულებენ.

არსებული გენდერული სტერეოტიპები ხელს უშლიან დაგეგმვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესებში ქალების ჩართულობას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დონეზე. ქალები ნაკლებად ინფორმირებულები არიან კაცებზე და იშვიათად მონაწილეობენ საჯარო, ადგილობრივ სათემო შეხვედრებსა და ადგილობრივი მთავრობის, საინფორმაციო საკონსულტაციო სამსახურების, ტექნიკური პროფესიული განათლებისა და ტრენინგების ცენტრის თუ განვითარების ორგანიზაციების ტრენინგებში. კვლევის, ფოკუს ჯგუფებისა და ჩაღმავებული ინტერვიუების მეშვეობით მოპოვებულ ინფორმაციასა და არსებულ მონაცემებს შორის გარკვეული შეუსაბამობა არსებობს: რაოდენობრივი კვლევისა და ფოკუს ჯგუფების შედეგებზე დაყრდნობით, სხვადასხვა სერვისზე, გადაწყვეტილების მიღების პროცესზე ან გარკვეული ტიპის შრომაზე ქალებისა და კაცების ხელმისაწვდომობას შორის მცირე ან არანაირი განსხვავება არ არსებობს. განსხვავებული სურათის მიღება შეიძლება განპირობებული იყოს გამოკითხული **რესპონდენტების/ფოკუს ჯგუფების მონაწილეების მიერ გენდერული თანასწორობის ცნების არასათანადო აღქმით, სოფლის მოსახლეობაში გავრცელებული გენდერული სტერეოტიპებით** ან გენდერთან დაკავშირებული ზოგადი წარმოდგენებით. ადგილობრივმა ხელისუფლებამ და არასამთავრობოებმა, რომლებიც ამ რეგიონებში მუშაობენ, მხედველობაში უნდა მიიღონ აღნიშნული განსხვავებები.

გამოკითხული მოსახლეობის დიდ ნაწილს ფინანსური პრობლემები აქვს: შესაძლოა ამ სიტუაციას აუარესებდეს ან მასზე გავლენას ახდენდეს შეზღუდული წვდომა პროდუქტიულ რესურსებზე, ცოდნასა და ექსპერტიზაზე. მოსახლეობის დიდი უმრავლესობა სოფლის მეურნეობის იმდენად მცირე რაოდენობის პროდუქტებს აწარმოებს, რაც მხოლოდ საკუთარ შინამეურნეობას ყოფნის, ზოგჯერ კი – არც ამდენს. სასოფლო-სამეურნეო მიწაზე, უფრო მეტად კი ირიგაციაზე, წვდომა ბევრ რეგიონში მთავარ გამოწვევას წარმოადგენს. მიწის დასამუშავებელ იარაღებზე, სასუქებზე, ჰერბიციდებზე, ფუნგიციდებზე და ინსექტიციდებზე წვდომა უმეტეს რეგიონში უკიდურესად შეზღუდულია, რისი მიზეზიც ძირითადად მაღალი ღირებულებაა. მოსახლეობის დაახლოებით 30.8% დამატებით შემოსავალს არასასოფლო-სამეურნეო აქტივობებიდან იღებს, თუმცა ეს შემოსავალი მცირეა: ქალები იმ თანხის ნახევარს გამოიმუშავებენ, რასაც - კაცები. კვლევაში მონაწილე რესპონდენტების დიდი ნაწილი მუდმივი სამუშაოს პოვნის სურვილს სოფლის მეურნეობის სფეროს გარეთ გამოთქვამდა, რადგან ეს სფერო ნაკლებად სტაბილურია. აღნიშნული რესპონდენტები არც თავიანთი მეურნეობების გაფართოებას გეგმავენ და არც ამ მიმართულებით საკუთარი უნარებისა და ცოდნის გაუმჯობესებას. საინფორმაციო საკონსულტაციო სამსახურების სერვისი გამოკითხული მოსახლეობის მხოლოდ 1.4%-მა გამოიყენა, ხოლო განათლებას სოფლის მეურნეობის სფეროში ტექნიკური პროფესიული განათლებისა და ტრენინგების ცენტრების მცირე ნაწილი უზრუნველყოფს. შესაძლოა, გენდერული სტერეოტიპები კიდევ უფრო აფერხებდნენ ქალებს სოფლის მეურნეობის მიმართულებით ტრენინგების გავლაში. კაცებთან შედარებით უფრო ნაკლებმა ქალმა იცის, თუ რას სთავაზობენ მას საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურები. აღსანიშნავია, რომ მაშინ, როცა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები შესაძლოა გაზრდილი პროდუქციის წარმოების საწინდარი იყოს, ამ ეტაპზე კოოპერატივში მოსახლეობის მცირე ნაწილია ჩართული, ქალები კი კოოპერატივების წევრების მხოლოდ 25%-ს შეადგენენ.

საბაზისო მომსახურებებსა და სოციალურ ინფრასტრუქტურაზე შეზღუდული წვდომა შესაძლოა კიდევ უფრო აფერხებდეს შემოსავალზე ორიენტირებულ აქტივობებს. გამოკითხული რესპონდენტების 70%-ზე მეტს საკანალიზაციო სისტემებზე წვდომა შეზღუდული აქვს, 30%-ს კი არ აქვს წვდომა ნაგვის გატანის სერვისზე. ეს უკანასკნელი განსაკუთრებულ პრობლემას უქმნის ქალებს, რადგან ამ სამუშაოს ისინი კაცებთან შედარებით გაცილებით უფრო ხშირად ასრულებენ. მოსახლეობის 30%-ს არ აქვს წვდომა საბავშვო ბაღებზე. ხელმისაწვდომობის ხარისხი მნიშვნელოვნად განსხვავდება რეგიონების მიხედვით: სიტუაცია ყველაზე მწვავე ამ მხრივ ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებშია. ვინაიდან ქალები ასრულებენ საოჯახო საქმეების უმეტესობას, სოციალურ ინფრასტრუქტურასა და საბაზისო მომსახურებებზე შეზღუდული წვდომა კიდევ უფრო ამცირებს მათ შანსს, მიიღონ ანაზღაურებადი სამუშაო, ჩაერთონ შემოსავალზე ორიენტირებულ აქტივობებში და ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რომ არაფერი ვთქვათ გადაადგილების შესაძლებლობისა და თავისუფალი დროის გამოყენების შეზღუდვაზე.

საერთაშორისო საზოგადოება და არასამთავრობო ორგანიზაციები, მთავრობასთან (ცენტრალურ და ადგილობრივ) თანამშრომლობით, სხვადასხვა ინიციატივას ახორციელებდნენ, რომელთა მიზანს გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალების ჩართულობის/მონაწილეობის გაზრდა წარმოადგენს, მათ შორის დაგეგმარებისა და ბიუჯეტირების (ადგილობრივ დონეზე) ეტაპზე, თუმცა არსებობს გარკვეული ხარვეზებიც: **კვლავ დგას გრძელვადიანი სტრატეგიული მიდგომის ნაკლებობა ქალების (ეკონომიკური) გაძლიერების კუთხით, ხარვეზებია მოთამაშეებს შორის კოორდინაციაში, ინიციატივების დაგეგმვა ყოველთვის არ ხდება სათანადო დონეზე და საჭიროებათა შეფასების კვლევებზე დაყრდნობით. სხვადასხვა სახის ინტერვენციაში გენდერული საკითხების გათვალისწინება არათანმიმდევრულად ხდება და, საერთო ჯამში, ძალისხმევა არასაკმარისია.**

საქართველოს 4 რეგიონში ქალთა თვითდახმარების 50-ზე მეტი ჯგუფისა და თემზე დაფუძნებული ორგანიზაციის შექმნით მიღებული გამოცდილება აჩვენებს, რომ არსებობს სოლიდური და ჯერ კიდევ გამოუყენებელი პოტენციალი,რომელსაც დიდი წვლილის შეტანა შეუძლია ადგილობრივ განვითარებასა და შემოსავლის მომტან სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში: **„გააქტიურებული“ ქალების გაზრდილი მონაწილეობა ადგილობრივ დაგეგმვაში, ბიუჯეტის შედგენისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესებში, ქალების მიერ მართული იმ ადგილობრივი პროექტების პირდაპირ განხორციელება, რომლებიც მიზნად ისახავენ სოციალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას ან ხელს უწყობენ ქალების უნარებისა და შესაძლებლობების განვითარებას შემოსავლის მომტანი სოფლის მეურნეობის წარმოებაში ჩართვისთვის, კიდევ უფრო მეტ კვლევასა და მხარდაჭერას საჭიროებს.**

გენდერული ბიუჯეტირება და ადგილობრივ დონეზე დაგეგმვის პროცესში ქალების მონაწილეობა იმედისმომცემი პროცესია, რომლის მხარდაჭერაც საჭიროა მეტად მდგრადი და გენდერულად თანასწორი შედეგების მისაღებად, თუმცა, მიუხედავად ამისა, ჯერჯერობით შეუძლებელია გენდერული ბიუჯეტირების ადგილობრივი მცდელობების შეფასება, რადგან ადგილობრივი ბიუჯეტის დაგეგმვისას ქალებისა და კაცების საჭიროებების უფრო თანასწორად გათვალისწინება ჯერ კიდევ ადგილობრივი მთავრობის „პოლიტიკური ვალდებულებების“ ეტაპზეა. შერჩეული მუნიციპალიტეტების ადგილობრივ ბიუჯეტში მცირე ცვლილებები განხორციელდა, თუმცა გენდერული ბიუჯეტირების მცდელობები ჯერ კიდევ ვერ ასახავენ სისტემურ მიდგომას.

მუნიციპალიტეტებში არსებული გენდერული საკითხების სამეთვალყურეო ჯგუფების დაპირებაც ძალაში რჩება, თუმცა ხსენებულ პოზიციებზე მომუშავე პერსონალის უფლებამოსილებისა და ცოდნის ნაკლებობა გენდერული თანასწორობის შედეგების მიღწევას აფერხებს. მუნიციპალიტეტებში არსებულ ინსტიტუციურ მექანიზმებს აუცილებლად უნდა ჰქონდეთ ცოდნა, შესაძლებლობა და ძალაუფლება, რათა შეეძლოთ გენდერული მეინსტრიმინგი. ამასთან ერთად, ინსტიტუციურ მექანიზმებს, მდგრადობისა და ანგარიშვალდებულებების უზრუნველსაყოფად, ზურგს უნდა უმაგრებდეს კანონმდებლობაც, რათა მიღწეულ იქნას გენდერული თანასწორობა. ქალების დაკავშირება ბაზრებთან, მაგალითად, მცირე სააგენტოების მეშვეობით, რომლებიც რძეს ადგილობრივი ქალებისგან იბარებენ, შეიძლება კარგ მოდელად ჩაითვალოს, რომლის გადატანაც ქვეყნის სხვა რეგიონებში, მდგრადობის საკითხების გათვალისწინებით, რეკომენდებული იქნებოდა.

შესავალი

სოფლის მეურნეობისა და ადგილობრივი განვითარების სისტემების გენდერული შეფასების კვლევა განხორციელდა „ეისითის“ მიერ, გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women), სამხრეთ კავკასიაში შვეიცარიის თანამშრომლობის ოფისისა და ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის ტექნიკური და ფინანსური მხარდაჭერით. კვლევის ჩატარების ვადები მოიცავდა პერიოდს 2015 წლის აგვისტოდან 2016 წლის თებერვლამდე. კვლევის გეოგრაფიული არეალი იყო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა და ხუთი რეგიონი: ქვემო ქართლი, შიდა ქართლი სამცხე-ჯავახეთი, კახეთი და სამეგრელო.

კვლევაში წარმოდგენილია ცენტრალური და ადგილობრივი მთავრობისა და ძირითადი დონორების მიერ სოფლის მეურნეობასა და ადგილობრივ განვითარებასთან დაკავშირებული არსებული პოლიტიკის, განხორციელებული პროგრამებისა და სისტემების უახლესი ანალიზი გენდერულ ჭრილში. რაოდენობრივი კვლევის მონაცემების, ჩაღრმავებული ინტერვიუებისა და ფოკუს ჯგუფების გამოყენებით, კვლევა გვთავაზობს სამიზნე რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის დემოგრაფიული სიტუაციის ანალიზს და განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს შრომის გენდერულ დაყოფას სოფლის მეურნეობის პროდუქციის ღირებულებათა ჯაჭვში, ასევე, იმ კულტურულ, სოციალურ და კონტექსტისთვის სპეციფიკურ ბარიერებს, რომლებიც აფერხებენ ქალების აქტიურ ჩართულობას სოფლის მეურნეობის ბიზნესსა და ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. და ბოლოს, კვლევაში წარმოდგენილია რეკომენდაციები შესაბამისი სამინისტროებისა და ადგილობრივი მთავრობებისთვის პოლიტიკის შემუშავებასა და ოპერაციულ თუ ინსტიტუციურ ცვლილებებთან დაკავშირებით. ამას გარდა, რეკომენდაციები მოცემულია პარტნიორებისთვისაც თავიანთ პროგრამულ ინიციატივებთან დაკავშირებით, რომელთა მიზანს წარმოადგენს ადგილობრივი პარტნიორების დახმარება პოლიტიკისა და მომსახურების მიწოდების გასაუმჯობესებლად.

შვეიცარიის თანამშრომლობის ოფისი მხარს უჭერდა სხვადასხვა ინიციატივას, რომელთა მიზანსაც წარმოადგენდა სასოფლო და სამეურნეო განვითარება აჭარის, ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთის, კახეთის, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის, ქვემო სვანეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონებში. ამ შემთხვევებში გენდერი განხილული იყო, როგორც გამჭოლი საკითხი. ავსტრიის განვითარების ფონდმა ქვემო ქართლში რეგიონულ და ადგილობრივ დეცენტრალიზაციაში წვლილი შეიტანა. აღნიშნული სააგენტო, სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაძლებლობების ხელშეწყობით, ადგილობრივი თემებისა და სოფლის მეურნეობის განვითარებას კონკრეტულ კომპონენტებში ეხმარებოდა. შემდგომი მიზანი სატყეო სექტორის რეფორმების პროგრამის მხარდაჭერაა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, სამცხე-ჯავახეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის, ქვემო ქართლის, მცხეთა-მთიანეთისა და კახეთის რეგიონებში და, ასევე, სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივების ადგილობრივ დონეზე წახალისება. გენდერული თანასწორობა და ქალების გაძლიერება გადამკვეთ საკითხებად ჩაითვლება. გაეროს ქალთა ორგანიზაცია ქვემო ქართლის, შიდა ქართლისა და სამეგრელოს რეგიონებში იძულებით გადაადგილებულ და კონფლიქტების შედეგად დაზარალებულ თუ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ქალთა ჯგუფებთან, ასევე მათი მხარდაჭერის საკითხებზე, აქტიურად მუშაობს. აღნიშნული პარტნიორების ინტერესებში შედის თავიანთი პარტნიორების მიერ გამოყენებული მიდგომების ეფექტურობისა და ხარვეზების შეფასება უფრო ფართო კონტექსტში, რეგიონული და ადგილობრივი განვითარების პროცესებისა და სისტემების კუთხით.

1. შეფასების მეთოდოლოგია

კვლევითი პროექტის მიზნებიდან გამომდინარე, გამოყენებულ იქნა მონაცემთა მოპოვების განსხვავებული მეთოდები. ტრიანგულაციის მიდგომა გულისხმობდა პირველად და მეორად მონაცემთა მოპოვებას და, ასევე, თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდების გამოყენებას. მნიშვნელოვანია, რომ ერთი და იმავე საკითხთან დაკავშირებით, მონაცემთა შეგროვების სხვადასხვა მეთოდი იქნა გამოყენებული; ამავდროულად, ერთი და იმავე მეთოდით ხდებოდა სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებული მონაცემების შეგროვება: საკაბინეტო კვლევა მეტ ინფორმაციას იძლევა ეროვნულ დონეზე წარმოებულ პოლიტიკასა და მექანიზმებზე, კვლევა და ფოკუს ჯგუფები კი უფრო მასობრივ დონეზე იყო გათვლილი. ძირითად ინფორმანტებთან ჩატარებული ინტერვიუები ინფორმაციას გვაწვდის, როგორც ცენტრალურ, ისე რეგიონულ დონეზე. საკაბინეტო კვლევამ საშუალება მოგვცა, გაგვეანალიზებინა, თუ რამდენად არის გენდერული თანასწორობის პრინციპები გათვალისწინებული სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებულ კანონმდებლობასა და პროგრამებში, ძირითად ინფორმანტებთან ჩაღრმავებულმა ინტერვიუებმა საშუალება მოგვცა, საფუძვლიანად გაგვეგო, თუ რა გამოწვევების წინაშე დგას მოსახლეობა, რომელიც სოფლად ცხოვრობს, ხოლო ფოკუს ჯგუფებთან ჩატარებული ინტერვიუების წყალობით, გავიგეთ ქალების ჩართულობაზე ორიენტირებული პროგრამების ბენეფიციარების შეხედულებები. და ბოლოს, რაოდენობრივი კვლევის საშუალებით, მივიღეთ ვრცელი ინფორმაცია ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებების შესახებ, რეგიონული და გენდერული განსხვავებების შესახებ სოფლის მეურნეობის წარმოებაში, ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობაზე, ასევე კრედიტის, მომსახურებებისა და ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობაზე.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია კვლევის დიზაინის მოკლე აღწერილობა კვლევის ყველა კომპონენტისთვის:

ცხრილი №1

სოფლის მეურნეობისა და ადგილობრივი განვითარების სისტემების გენდერული შეფასების კვლევის დიზაინი

მეთოდი	საკაბინეტო კვლევა	თვისებრივი კვლევა	თვისებრივი კვლევა	რაოდენობრივი კვლევა
ტექნიკა	შესაბამისი ლიტერატურის / მეორადი მონაცემების მიმოხილვა	ჩაღრმავებული ინტერვიუები	ფოკუსური ჯგუფური დისკუსიები	პირისპირ ინტერვიუები
სამიზნე ჯგუფი	-	ძირითადი ინფორმანტები	სოფლად მცხოვრები ქალები და კაცები	სამიზნე რეგიონების მოსახლეობა
შერჩევის ზომა	-	30 ინტერვიუ[1]	16 ფოკუს ჯგუფი	2400 ინტერვიუ
შერჩევის მეთოდი	-	მიზნობრივი შერჩევა	მიზნობრივი შერჩევა	სტრატიფიცირებული კლასტერული შერჩევა
კვლევის არეალი	-	თბილისი და საქართველოს 6 სამიზნე რეგიონი	საქართველოს 6 სამიზნე რეგიონი	საქართველოს 6 სამიზნე რეგიონი
ჩაღრმავებული ინტერვიუების/ დისკუსიების ხანგრძლივობა	-	30-40 წუთი	2-2,5 საათი	40-45 წუთი

1 დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ ცხრილი N4. ძირითადი ინფორმანტების ჩამონათვალი

2. წინაპირობა

გენდერული თანასწორობის ძირითადი მიმოხილვა საქართველოში

1994 წელს საქართველომ მოახდინა ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციის რატიფიცირება. გენდერული თანასწორობა ასახულია საქართველოს კონსტიტუციაში, ისევე როგორც სხვადასხვა მუხლში, პოლიტიკაში, სტრატეგიასა თუ სამოქმედო გეგმაში, რომლებიც მოიცავენ: ადამიანთა უფლებების სტრატეგიას, გენდერული თანასწორობის კანონსა და მის სამოქმედო გეგმებს, ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ კანონსა და მის სამოქმედო გეგმებს, კანონს ტრეფიკინგის წინააღმდეგ და მის სამოქმედო გეგმებს, სამოქმედო გეგმას ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ და შრომის კოდექსს.

საქართველოს (2014) მისამართით ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის (CEDAW) უკანასკნელი დასკვნითი დაკვირვებები განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს სოფლად მცხოვრები ქალების საჭიროებებზე, პრიორიტეტებსა და ეკონომიკურ გაძლიერებაზე. „კომიტეტი საქართველოს რეკომენდაციას აძლევს მასზედ, რომ უზრუნველყოს სოფლად მცხოვრები ქალებისთვის ადეკვატური ხელმისაწვდომობა სოციალურ, ჯანდაცვის და სხვა ძირითად სამსახურებსა და ეკონომიკურ შესაძლებლობებზე, ისევე, როგორც უზრუნველყოს პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის თანაბარი შესაძლებლობა, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის სექტორში. კომიტეტი ასევე იძლევა რეკომენდაციას, რომ საქართველომ უზრუნველყოს ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის ბავშვების ოთახის, თავშესაფრებისა და სხვა მომსახურებების არსებობა სასოფლო რაიონებში. ის ასევე ურჩევს საქართველოს წარადგინოს სქესის მიხედვით მიწის საკუთრების მონაცემები შემდეგ პერიოდულ ანგარიშში".[2]

მიუხედავად გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებული საკანონმდებლო და პოლიტიკის შემუშავების კუთხით არსებული მნიშვნელოვანი პროგრესისა, მათი განხორციელებისა და ზეგავლენის მოხდენის მიმართულებებით გამოწვევები კვლავ რჩება. გლობალური გენდერული ინდექსის 2015 წლის მონაცემების მიხედვით, საქართველო 145 ქვეყანას შორის 45-ე ადგილს იკავებს იმის მიხედვით, თუ რამდენად კარგად იყენებს „ქალთა შესაძლებლობების რესურსებს ეკონომიკურ, საგანმანათლებლო, ჯანმრთელობისა და პოლიტიკურ ინდიკატორებზე დაყრდნობით"[3]. 2012 წელს ქალთა ეკონომიკური შესაძლებლობების ინდექსში, სადაც 100 აღნიშნავს ხელსაყრელ გარემოს, საქართველოს მაჩვენებელი იყო 54.5. ინდექსში წარმოდგენილ 128 ქვეყანას შორის, საქართველო 59-ე ადგილზეა[4]. "ქალთა ეკონომიკური შესაძლებლობები განიმარტება, როგორც კანონთა, რეგულაციების, ჩვეულებებისა და დამოკიდებულებების წყება, რომელიც ქალს საშუალებას აძლევს მონაწილეობა მიიღოს შრომის ბაზარზე კაცებთან გათანაბრებული პირობებით, როგორც თანამშრომელმა ან როგორც ბიზნესის მფლობელმა. ინდექსი შემდეგი კომპონენტებისგან შედგება: ზოგადი ბიზნესგარემო, ქალთა სოციალური და სამართლებრივი სტატუსი, ფინანსებზე ხელმისაწვდომობა, შრომის კანონმდებლობა და დასაქმება".[5] გლობალური გენდერული ინდექსიც და ქალთა ეკონომიკური შესაძლებლობების ინდექსიც ადასტურებენ, რომ საქართველოში ქალთა ეკონომიკური შესაძლებლობები შეზღუდულია.

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს მრავალი სტრატეგია და კანონი, რომელიც გენდერული თანასწორობის მუხლებს შეიცავს, რეალობა აჩვენებს, რომ: ა) გენდერული თანასწორობის დებულებების უმრავლესობა ფურცელზე რჩება, არის განხორციელებისა და პასუხისმგებლობების მკაფიო განაწილების ნაკლებობა, ბ) გენდერული

2 CEDAW დასკვნითი კომენტარი მეოთხე და მეხუთე ერთიანი პერიოდული ანგარიშებზე, CEDAW /C/GEO / CO / 4-5, პუნქტი 33, ივლისი 2014 წ.

3 გლობალური გენდერული ინდექსი, 2015.

4 ქალთა ეკონომიკური შესაძლებლობები, გლობალური ინდექსი და რეიტინგი Economist Intelligence Unit-დან. 2012 წელი.

5 გენდერული თანასწორობა საქართველოში საერთაშორისო ინდექსებსა და რეიტინგებზე დაყრდნობით. ნანი ბენდელიანი, CSS, 2012.

თანასწორობის დებულებებს აკლიათ დროში გაწერილი მიზნები, საფუძვლები თუ ინდიკატორები პროგრესის გასაზომად, ასევე, არსებობს მონიტორინგისა და ანგარიშგების მექანიზმების ნაკლებობა, გ) არსებობს ბიუჯეტური სახსრების ნაკლებობა და ზედმეტი მოლოდინი, რომ ინიციატივები დონორების მიერ დაფინანსდება და დ) მიუხედავად ბოლო წლებში მომხდარი გარკვეული გაუმჯობესებისა, ზოგიერთ რეგიონში კვლავაც არ ხდება სქესის მიხედვით დაყოფილი მონაცემების მოპოვება და /ან გაანალიზება.

საქართველოში ჩატარებული ბოლოდროინდელი კვლევის მიხედვით, საქართველოს მთავრობა იღებს კანონებსა და სხვა დოკუმენტებს, თუმცა არ გამოყოფს თანხას მათი განხორციელებისათვის: „ჩვენს ქვეყანაში პოლიტიკური ნება არ არსებობს. […] კანონი მიიღეს, მაგრამ სახელმწიფო არ გამოყოფს თანხებს მისი განხორციელებისთვის, რაც ნიშნავს, რომ ეს მისთვის პრიორიტეტი არ არის. თუმცა, […] მოხარული იქნება, თუ დაფინანსებას მაგალითად „სიდა“ გამოყოფს”[6]

გენდერული თანასწორობის დებულებების განუხორციელებლობის ან ანგარიშვალდებულების ნაკლებობის კიდევ ერთ მაგალითს წარმოადგენს კანონი **გენდერული თანასწორობის შესახებ** (2010). ამ კანონის მიღება გენდერული თანასწორობის მიღწევისკენ გადადგმულ ნაბიჯად ითვლებოდა, თუმცა მისი განხორციელება გამოწვევად რჩება კოორდინაციისა და ანგარიშვალდებულების ნაკლებობის გამო.[7]

ცენტრალურ დონეზე, საქართველოს პარლამენტის **გენდერული თანასწორობის საბჭოს**, ძირითად ორგანოს, რომელიც უფლებამოსილია უზრუნველყოს გენდერული თანასწორობის კანონისა და მისი სამოქმედო გეგმის განხორციელების კოორდინაცია და მონიტორინგი, ევალება გენდერული კუთხით შეასრულოს კანონმდებლობის ანალიზი, შეიმუშაოს ცვლილებები და მოქმედებები გენდერული თანასწორობის მიღწევის პროცესის დასაჩქარებლად, ასევე აკონტროლოს და შეაფასოს გენდერული თანასწორობის მიღწევის პროგრესი[8]. ომბუდსმენს / სახალხო დამცველს[9] და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებს ევალებათ დისკრიმინაციის აკრძალვა და აღმოფხვრა[10], თუმცა, 2012 წელს საქართველოში გენდერულ თანასწორობაზე ჩატარებული კვლევის თანახმად, არსებობს სახელმწიფო და საჯარო სამსახურებს შორის კოორდინაციის ნაკლებობა, ისევე როგორც კანონებისა და რეგულაციების ჰარმონიზაციის ნაკლებობა.[11] მიუხედავად ბოლო წლებში მიღწეული გარკვეული პროგრესისა, რაც პრემიერ-მინისტრის აპარატში გენდერული თანასწორობის მიღწევისთვის დასახული ამოცანების შესრულების კოორდინაციისა და განხორციელების მექანიზმის ჩამოყალიბებას გულისხმობს, აღსანიშნავია, რომ კოორდინაციისა და ანგარიშვალდებულების მკაფიო მექანიზმების (ორგანიზაციების და სამართლებრივი/პოლიტიკის დებულებების) პრობლემა კვლავ გადაუჭრელი რჩება.

ცენტრალური ინიციატივებისა და გენდერული თანასწორობის მექანიზმების ლოკალიზების მცდელობის მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ არასამთავრობო ორგანიზაციის გამოცდილება/მაგალითი:

2013 წელს ქალთა საინფორმაციო ცენტრმა ადგილობრივ მთავრობაში გენდერული თანასწორობის მექანიზმების დამკვიდრება სცადა. ინიციატივას მხარი დაუჭირა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ, რომელმაც სამინისტროში გენდერული თანასწორობის საკითხებზე მრჩეველი დანიშნა, რასაც მუნიციპალურ დონეზე 42 მრჩევლის დანიშვნა მოჰყვა. 2014 წლისთვის (2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ) მრჩეველთა რაოდენობა 21-მდე შემცირდა. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ, 2015 წლის ოქტომბერში მოწოდებული ჩამონათვალის მიხედვით, 21 მრჩევლიდან (ორი მათგანი კაცია) მხოლოდ 1 მრჩეველს აქვს სამუშაოს აღწერილობაში მითითებული გენდერული

6 გენდერული თანასწორობის პოლიტიკის შეფასება საქართველოში ქალთა ორგანიზაციების მიერ, ჯაფარიძე ელენე CSS, 2012.

7 გენდერული თანასწორობა - ქართული და საერთაშორისო კანონმდებლობის მიმოხილვა. გენდერული თანასწორობის პროგრამა, ნ. არჯევანიძე, CSS, 2012.

8 საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ, მუხლი 12, 2010.

9 ibid, მუხლი 14, 2010.

10 ibid, მუხლი 13, 2010.

11 გენდერული თანასწორობის პოლიტიკის შეფასება საქართველოში ქალთა ორგანიზაციების მიერ, ჯაფარიძე ელენე CSS, 2012.

თანასწორობის ამოცანები (100%) და მას ამ ფუნქციის შესრულებისთვის მუნიციპალური ბიუჯეტიდან სრული ანაზღაურება ერიცხება. სხვა მრჩევლები გენდერულ საკითხებში (ძირითადად დეპარტმენტების უფროსები ან გამგებლის მრჩევლები) უბრალოდ იღებენ დამატებით ამოცანებს, რაც მათ არსებულ სამუშაოს ემატება. არანაირი დამატებითი თანხები გენდერულ საკითხებში მრჩევლის ფუნქციის შესრულებისთვის გამოყოფილი არ არის. ამ ეტაპზე (2016 წლისთვის) რეგიონული განვითარების სააგენტოს არ ჰყავს მრჩეველი გენდერულ საკითხებში, ამ მოვალეობას მათი ერთ-ერთი თანამშრომელი თავის სხვა ფუნქციებთან ერთად ასრულებს.

იმისათვის, რომ მუნიციპალურ დონეზე გენდერული თანასწორობის მექანიზმები მდგრადი გახდეს, ქალთა საინფორმაციო ცენტრმა, „ოქსფამ დიდი ბრიტანეთის“ მხარდაჭერით, გენდერული თანასწორობის შესახებ კანონში შესატანად ცვლილებები მოამზადა. შეთავაზებული ცვლილებები გულისხმობს მუნიციპალურ დონეზე ხსენებული პოზიციის შემოღებას[12]. ამჟამინდელი მდგომარეობით (2016 წლის თებერვალი) ცვლილებები პარლამენტში განხილვის ეტაპზეა და მათი დამტკიცების შემთხვევაში, გენდერული საკითხების მრჩევლები დაინიშნებიან და მათი ანაზღაურების გადახდას საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს.

12 საქართველოს პარლამენტის ვებ გვერდი: http://www.parliament.ge/ge/law/11146/28151

3. ძირითადი მიგნებები და დასკვნები

გენდერული თანასწორობის პრინციპები სოფლის მეურნეობის პოლიტიკაში

გენდერული თანასწორობის კანონით დადგენილი პრინციპების გათვალისწინება სოფლის მეურნეობასა და ადგილობრივი განვითარების პოლიტიკაში ნაკლებად ხდება. დასკვნა ეყრდნობა კანონმდებლობის, ძირითად ინფორმანტებთან ჩატარებული ინტერვიუებისა და შესაბამისი ლიტერატურის მიმოხილვას:

სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიაში, რომელიც 2015-2020 წლებისთვისაა შემუშავებული, საქართველოში სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარებაა წარმოდგენილი და გათვალისწინებულია განვითარების შვიდი მთავარი მიმართულება[13]. წინამდებარე ანგარიშში ამ შვიდი მიმართულებიდან ბევრი თემაა განხილული, ესენია: ფერმერთა ცოდნის გაღრმავება, სოფლის მეურნეობის სფეროში უმაღლესი და პროფესიული განათლების გაუმჯობესება, კოოპერატივების ჩამოყალიბების მხარდაჭერა, კრედიტების სისტემის განვითარება, კოორდინაციის გაძლიერება სოფლის მეურნეობის სამინისტროს, დონორ ორგანიზაციებსა და სხვა მოთამაშეებს შორის, ირიგაციის სისტემების გაუმჯობესება, კულტურების ღირებულებათა ჯაჭვისა და ვეტერინარული სერვისების მხარდაჭერა. სტრატეგიაში გენდერი შვიდიდან 2 მიმართულებაშია ნახსენები: *მიმართულება 1. აგრარულ სექტორში დასაქმებულთა კონკურენტუნარიანობის ამაღლება* და *მიმართულება 2. ინსტიტუციური განვითარება.* კოოპერატივების განვითარება პირველ მიმართულებაში იგეგმება და მასში ნათქვამია, რომ კოოპერატივების განვითარება გააუმჯობესებს ქალების ჩართულობას სოციალურ და ეკონომიკურ აქტივობებში. როგორც ქვემოთ ვნახავთ, გენდერული სტერეოტიპები ხელს უშლიან ქალების ჩართულობას კოოპერატივებში და თუ არ მოხდა კოოპერატივებში გენდერული დისბალანსის პრობლემის მოგვარება, ეს სტრატეგია ქალების სოციალურ და ეკონომიკურ აქტივობაზე მნიშვნელოვან გავლენას ვერანაირად ვერ მოახდენს. საინფორმაციო ბაზების შემუშავება და სქესის მიხედვით დაყოფილი მონაცემების მოპოვება მეორე მიმართულებაში შედის.

გენდერული თანასწორობის შესახებ კანონის 2014-2016 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა შეიცავს დებულებებს სოფლის მეურნეობით დაინტერესებული ან ამ სფეროში ჩართული ქალების ცოდნისა და კვალიფიკაციის ამაღლების, კოოპერატივებში და ზოგადად აგრობიზნეს აქტივობებში მეტი ქალის მონაწილეობის შესახებ. სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია ამ მუხლების მხოლოდ იმ ნაწილს მოიცავს, რომელიც ქალების კოოპერატივებში ჩართვას ეხება, ანუ ეს სტრატეგია ნაწილობრივ ჰარმონიზებულია გენდერული თანასწორობის შესახებ ეროვნულ სამოქმედო გეგმასთან, რომლის მიხედვითაც, სოფლის მეურნეობის სამინისტრო პასუხისმგებელია ამ დებულებებზე.[14]

სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის ექსპერტებმა შეიმუშავეს გარკვეული რეკომენდაციები სოფლის მეურნეობის განვითარების 2015-2020 წლების სტრატეგიის ეროვნულ სამოქმედო გეგმაში გენდერული საკითხების გათვალისწინებისთვის, რადგან თვითონ სტრატეგიაში ცვლილებების შეტანა უკვე შეუძლებელია, თუმცა ეროვნულ სამოქმედო გეგმაში მხოლოდ ორი რეკომენდაციაა განმარტებული. ერთი წარმოადგენს ზოგად რეკომენდაციას გენდერული კუთხით განცალკავებული მონაცემების მოპოვების შესახებ დებულება 2.2.1-ში, რომელიც ბაზრის საინფორმაციო სისტემის შემუშავებას ეხება,

13 ამ დოკუმენტის შექმნის ინიციატორი იყო სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია ევროკავშირისა და ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის მიერ დაფინანსებული პროექტის - „ENPARD -სოფლის სამინისტროს შესაძლებლობების განვითარება“ ფარგლებში. დოკუმენტის დასრულებაში ბევრი მხარე იყო ჩართული და შეიძლება ჩაითვალოს, რომ იგი კოლექტიური მუშაობის ნაყოფია.

14 OXFAM-ის რეკომენდაციები გენდერული მეინსტრიმინგისთვის სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიაში, 2015.

ხოლო მეორე სპეციალური რეკომენდაცია შეეხება მეტი ქალის ჩართვას კოოპერატივებში (დებულება 1.6.6). სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის ექსპერტების მიერ შემუშავებული ზოგადი რეკომენდაციები ასეთია:[15]

- საჭიროების შეფასებების ყველა კვლევა, რომელიც განხორციელდება, უნდა იყოს გენდერულ საკითხებზე სენსიტიური;
- ყველა ქალისთვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს რეალური წვდომა ინფორმაციასა და აქტივობებზე;
- სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ მიწაზე საკუთრების უფლების რეგისტრაციისას ქალთა უფლებები საკუთარ ქონებაზე არ იყოს უგულებელყოფილი;
- უზრუნველყოფილი უნდა იყოს, რომ მოპოვებული ინფორმაცია და წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები ასახავდნენ საზოგადოების ყველა წევრის სიტუაციას ინტერვენციამდე და მას შემდეგ;
- უზრუნველყოფილი უნდა იყოს ქალი ექსპერტების დასაქმება სოფლის მეურნეობის სამინისტროში, განსაკუთრებით მმართველ პოზიციებზე.

პოლიტიკის შემუშავებაზე (სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების სამინისტრო) პასუხისმგებელი სამინისტროების ან იმ ორგანიზაციების წარმომადგენლებთან(სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია, გაეროს ქალთა ორგანიზაცია) ჩატარებულმა ინტერვიუებმა, რომლებიც სამინისტროებს ტექნიკური დახმარებით უზრუნველყოფენ, აჩვენა, რომ **გენდერული თანასწორობის საკანონმდებლო დებულებები არ არის გათვალისწინებული რეგიონული, აგრარული ან ეკონომიკური განვითარების პოლიტიკის შემუშავების პროცესში.** კახეთის, ქვემო ქართლის, სამეგრელოს, სამცხე-ჯავახეთისა და შიდა ქართლის 2014-2021 წლების რეგიონული განვითარების სტრატეგიებში[16] დეტალურადაა წარმოდგენილი ადგილობრივი პრობლემები, მათ შორის, გზებისა და საირიგაციო სისტემების მდგომარეობის გაუმჯობესება და მათი გადაჭრის კონკრეტული გზები, თუმცა გენდერული თანასწორობის საკითხები თითქმის სრულიად უგულებელყოფილია. სამცხე-ჯავახეთისა და შიდა ქართლის სტრატეგიები სრულებით არ ითვალისწინებენ ქალებისა და კაცების განსხვავებულ საჭიროებებსა და როლს რეგიონულ განვითარებაში, ხოლო კახეთის რეგიონული განვითარების სტრატეგიის დოკუმენტში ნახსენებია გენდერული თანასწორობის გამოწვევები, რომლებიც ორი მიმართულებითაა წარმოდგენილი: გენდერული კუთხით არსებული განსხვავება ხელფასებს შორის და მიგრაციის ფემინიზაცია. ქვემო ქართლისა და სამეგრელოს სტრატეგიებში მოცემულია ინფორმაცია გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებში მოღვაწე ქალების შესახებ, ასევე მოცემულია მიზანი 14 – „გენდერული თანასწორობის მხარდამჭერი აქტივობების დაგეგმვა და განხორციელება“, თუმცა ამ მიზნის მისაღწევად საჭირო ღონისძიებები დაკონკრეტებული არ არის. ძირითად ინფორმატორებთან ჩატარებული ინტერვიუს თანახმად, რეგიონული განვითარების გეგმები ეყრდნობა ადგილობრივი მთავრობის მიერ მომზადებულ მონაცემებს. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურისა სამინისტრო არანაირ კონტროლს არ ახორციელებს ადგილობრივ გეგმებში გენდერული საკიხების გათვალისწინების უზრუნველსაყოფად. შესაბამისი **სამოქმედო გეგმები ძალიან ჰგავს** ერთმანეთს: მათში გათვალისწინებულია ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება (მაგალითად, გზების მშენებლობა, ირიგაცია და წყლის მიწოდება კახეთში). არცერთი რეგიონული გეგმა არ ითვალისწინებს გენდერულად განცალკავებული მონაცემების მოპოვებას.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ ყურადღება მიექცეს იმ პირების გენდერული ცნობიერების დონეს, რომლებიც გენდერული თანასწორობის შესახებ კანონებისა და რეგულაციების ჰარმონიზებასა და განხორციელებაზე არიან პასუხისმგებლები. ცენტრალური უწყებების ზოგიერთ თანამშრომელს კარგად არ აქვს გაცნობიერებული გენდერული თანასწორობისა და ამ თემის აქტუალობის საკითხი. სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ახსენა ქალების მიერ მართული რამდენიმე სერვისი, როგორც მაგალითი იმისა, რომ ამ სერვისებში გათვალისწინებულია გენდერული თანასწორობის საკითხი. იგივე მაგალითი იქნება გამოყენებული იმის აღქმის დასასაბუთებლად, რომ მათი სამინისტრო მხედველობაში იღებს კანონს გენდერული თანასწორობის შესახებ და შესაბამის

15 რეკომენდაციები სოფლის მეურნეობის განვითარების 2015-2020 წლების სტრატეგიაში და მის სამოქმედო გეგმაში გენდერის მეინსტრიმინგისათვის. სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის რეგიონული ოფისი ევროპასა და ცენტრალურ აზიაში, დონო აბდურაზაკოვა, არაა სანტიაგო ბაუტისტა. 2015.

16 აჭარის რეგინული განვითარების გეგმის ანალიზი წარმოდგენილი არ არის, რადგან იგი კვლავ შემუშავების ეტაპზეა და, სავარაუდოდ, 2016 წლის აპრილში დასრულდება.

სამოქმედო გეგმებს, თუმცა სამინისტროსა და ექსტენციის სერვისებში დასაქმებული ქალების რაოდენობა გენდერული საკითხების გათვალისწინებისთვის საკმარისი მტკიცებულება არ არის, განსაკუთრებით მაშინ, თუ ეს ქალები არ არიან გათვითცნობიერებულნი გენდერული თანაწორობის საკითხებში ან სამინისტროში მაღალ თანამდებობებს არ იკავებენ და, შესაბამისად, არ მონაწილეობენ გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

გენდერული თანასწორობის პრინციპები ადგილობრივ პოლიტიკასა და პროგრამებში

ადგილობრივი განვითარების პროგრამები და ბიუჯეტები ხშირად „გენდერულად ბრმაა“ და არ ითვალისწინებს ქალებისა და კაცების პოტენციურად განსხვავებულ საჭიროებებს. ეს მიგნება ეფუძნება ლიტერატურისა და კვლევის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის მიმოხილვას:

ადგილობრივ დონეზე პოლიტიკა ყველაზე კარგად ადგილობრივ ბიუჯეტსა და იმ სპეციალურ პროგრამებში აისახება, როგორებიცაა სოფლის მხარდაჭერის პროგრამა, რომელიც რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერაა განხორციელებული, მცირემიწიან ფერმერთა მხარდაჭერის პროგრამა, რომელიც ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერაა განხორციელებული და „აწარმოე საქართველოში“, ასევე, შეღავათიანი აგრო კრედიტის პროგრამა, რომელიც სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერაა განხორციელებული.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამები ინფრასტრუქტურული განვითარებისთვის ფინანსურ მხარდაჭერას ითვალისწინებენ. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, ამ მიზნით, ქვეყნის ყველა სოფლისთვის, მასში მცხოვრები მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით, ფინანსურ რესურსებს გამოყოფს. ფინანსური მხარდაჭერის მიღება შემდეგი პირობით ხდება: აუცილებელია, რომ სოფლის მაცხოვრებლები შეიკრიბონ, თავიანთი საჭიროებები საჯაროდ განიხილონ და ადგილობრივი დაგეგმვის პროცესში მხედველობაში მიიღონ, თუმცა კვლევის ფარგლებში ჩატარებული გამოკითხვის შედეგების თანახმად, მოსახლეობა კვლავაც არ არის კარგად ინფორმირებული პროგრამის შესახებ: გამოკითხული მოსახლეობის დაახლოებით ნახევარს (51.8%) არ სმენია ამ პროგრამის შესახებ, ინფორმირებული რესპონდენტთა მხოლოდ ერთი მესამედი (35.5%) აღმოჩნდა[17]. ინფორმირებული რესპონდენტების ორ მესამედს (67.7%) მონაწილეობა არ მიუღია ამ პროგრამის ფარგლებში ჩატარებულ შეხვედრებში (გენდერის ჭრილში სტატისტიკურად სანდო განსხვავება არ გამოვლინდა). მოსახლეობის იმ ნაწილმა, რომელმაც მონაწილეობა მიიღო სოფლის მხარდაჭერის პროგრამის დისკუსიებში, განაცხადა, რომ პროგრამის ფარგლებში მათ სოფლებში შემდეგი პროექტები განხორციელდა:

- გზების რეაბილიტაცია / მშენებლობა (16.6%);
- წყლის სისტემის რეაბილიტაცია / მშენებლობა (40.4%);
- სოფლის ინფრასტრუქტურის (რიტუალების დარბაზი, ბიბლიოთეკა, კლუბი, სხვა) რეაბილიტაცია/ მშენებლობა (32.5%);
- საბავშვო ბაღების და სკოლების რეაბილიტაცია/ მშენებლობა(25.4%).

ყველა სამიზნე რეგიონში არსებული სოფლის მხარდაჭერის პროგრამების[18] 2014 წლის მონაცემების ანალიზმა, პროგრამის საქმიანობის სფეროების მიხედვით, კვლევის რესპონდენტების შეფასებებისგან განსხვავებული სურათი გამოავლინა. აღდგენილი და აშენებული საბავშვო ბაღების რაოდენობა ბევრად ნაკლებია კვლევის ფარგლებში გამოკითხულთა მიერ აღნიშნული რიცხვისგან; ეს ინვესტიციები სამიზნე რეგიონებში მხარდაჭერილი საქმიანობების მხოლოდ 7,18%-ს შეადგენს. წყალმომარაგების სისტემების მშენებლობა/რეაბილიტაციაც სოფლის მხარდაჭერის პროგრამების საქმიანობის მნიშვნელოვნად მცირე ნაწილს წარმოადგენს, ხოლო გამოკითხულთა შეფასებასთან მიმართებაში, გზის მშენებლობის/ რეაბილიტაციის საქმიანობებს გაცილებით დიდი წილი უჭირავს. კვლევის ფარგლებში გამოკითხული რესპონდენტები არსებულზე მეტი სკოლების/ საბავშვო ბაღებისა და წყალმომარაგების სისტემების მშენებლობას აფიქსირებენ და არსებულზე ნაკლებ საგზაო-სამშენებლო საქმიანობას ასახელებენ. (იხ. დანართი #4)

17 დანარჩენ 15%-ს პასუხი არ აქვს.

18 სოფლის მხარდაჭერის პროგრამები, 2014. პროგრამები განსახორციელებელი იქნა 2014 წელს. http://www.mrdi.gov.ge/ge/news/projects/534bc6cf0cf2f176b8222afe

ცხრილი №2

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების პროცენტული გადანაწილება 2014 წლისთვის

	აქტივობების რაოდენობა	პროცენტული განაწილება
გზების რეაბილიტაცია / მშენებლობა	1311	35,51 %
წყლის სისტემების რეაბილიტაცია / მშენებლობა	844	22,86 %
სოფლის ინფრასტრუქტურის (რიტუალების დარბაზის, ბიბლიოთეკის, კლუბის, სხვა) რეაბილიტაცია / მშენებლობა	1118	30,28 %
საბავშვო ბაღებისა და სკოლების რეაბილიტაცია / მშენებლობა	265	7,18 %
დანადგარები / ტექნოლოგიები/აღჭურვილობა	154	4,17 %
სულ	3692	100%

ეს განსხვავებები შეიძლება აიხსნას ან დროის ფაქტორით - დოკუმენტირებული მონაცემები 2014 წლისაა, ხოლო კვლევის მონაცემები - 2015 წლის, ან იმ ფაქტით, რომ რესპონდენტების მიერ მოწოდებული ინფორმაცია არაზუსტია და მხოლოდ შეფასებად უნდა ჩაითვალოს.

სამწუხაროდ, შეხვედრის მონაწილეთა ჩამონათვალი არ იძლევა სქესის იდენტიფიცირების საშუალებას, რადგან მხოლოდ მონაწილეთა სახელების ინიციალებია მითითებული, თუმცა ძირითად ინფორმანტებთან ჩატარებულმა ინტერვიუებმა გამოავლინა, რომ შეხვედრის მონაწილეთა უმრავლესობა კაცია: „ამგვარ შეხვედრაზე ერთხელ შემთხვევით ქალი შემოვიდა. ოთახი კაცებით იყო სავსე. მათ ქალს ოთახის დატოვება სთხოვეს“. (ქალი, 36 წლის, თბილისი).

კვლევის მონაცემების მიხედვით, **სოფლის ბიუჯეტის განხილვაში**, რომელიც მუნიციპალიტეტის მოხელეთა მიერაა ორგანიზებული, მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა (94.6%) არ მონაწილეობს. მცირედი განსხვავება აღინიშნებოდა რეგიონებს შორის იმ მოსახლეობის პროცენტული მაჩვენებლის კუთხით, რომელიც ამ განხილვაში მონაწილეობას არ იღებდა:

- კახეთი - 97.4%,
- სამეგრელო-ზემო სვანეთი - 96.6%,
- შიდა ქართლი - 96.1%,
- ქვემო ქართლი - 93,5%,
- სამცხე-ჯავახეთი - 91.7%,
- აჭარა - 89.2%,

ქალების და კაცების მონაწილეობის მხრივ განსხვავები არ დაფიქსირებულა, თუმცა ძირითადი ინფორმანტების განცხადებით, ამგვარ შეხვედრებში მეტწილად კაცები მონაწილეობენ.

ამას გარდა, რესპონდენტების 60.4%-ს არასდროს სმენია რეგიონში განხორციელებული იმ პროგრამების შესახებ, რომელთა მიზანიც განვითარებაზე მიმართული აქტივობების - ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისა და აგრობიზნესის მხარდაჭერაა. რესპონდენტთა იმ 30%-დან, ვისაც ამ პროგრამების შესახებ სმენია, მათგან გარკვეული მხარდაჭერა მხოლოდ 6.5%-მა მიიღო. ამგვარი პროგრამების ბენეფიციარებს შორის გენდერული განსხვავებები არ დაფიქსირებულა, თუმცა დაფიქსირდა რეგიონული განსხვავებები - მხარდაჭერის შესახებ ინფორმირებულობისა და მასზე ხელმისაწვდომობის მიხედვით, შიდა ქართლი სხვა რეგიონებს ჩამორჩება:

გრაფიკი №1

განხორციელებული განვითარების პროგრამების შესახებ ცნობიერების დონე რეგიონების მიხედვით



გრაფიკი №2

განხორციელებული განვითარების პროგრამების შესახებ ცნობიერების დონე სქესის მიხედვით



გრაფიკი №3

მოსახლეობის პროცენტული მაჩვენებელი, რომელიც მხარდაჭერას იღებს განვითარების სხვადასხვა პროგრამიდან, რეგიონების მიხედვით



გენდერული თანასწორობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში სოფლებსა და მუნიციპალიტეტებში

სოფლებსა და მუნიციპალიტეტებში ქალები ძალიან ნაკლებად არიან ჩართულები გადაწყვეტილების მიღების პროცესში. მიგნება ეყრდნობა კვლევისა და ფოკუს ჯგუფების შედეგად მოპოვებულ ინფორმაციას:

გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალების მხოლოდ მცირე ნაწილია ჩართული: საკრებულოში დასაქმებული ქალების პროცენტული მაჩვენებელი კასპში, წალკასა და მარნეულში (ქვემო ქართლისა და შიდა ქართლის რეგიონები) 0%-დან მერყეობს, თეთრიწყაროში – 24%-მდეა(ქვემო ქართლის რეგიონი) და წალენჯიხაში – 26%-მდე(სამეგრელო – ზემო სვანეთის რეგიონი). კვლევის სამიზნე რეგიონებში საკრებულოში დასაქმებული ქალების საშუალო მაჩვენებელი 9%-ს შეადგენს. კომიტეტებს 17 ქალი ხელმძღვანელობს, რაც მაღალ პოზიციაზე დასაქმებული ქალების 14%-ს შეადგენს. გამგეობაში დასაქმებული ქალების საშუალო პროცენტული მაჩვენებელი 34%-ია, საერთო ჯამში, მაღალი პოზიციების 40% ქალებს უკავიათ. გამგეობაში დასაქმებული ქალების ყველაზე მცირე პროცენტული მაჩვენებელი ქობულეთსა და ქედაში (აჭარის რეგიონი) აღირიცხა, ხოლო ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი – 56% ბორჯომში დაფიქსირდა, რომელსაც 55%-ით ასპინძა მოსდევს (სამცხე-ჯავახეთის რეგიონი), თუმცა ამ რეგიონული განსხვავებების ასახსნელად დამატებითი კვლევის ჩატარებაა საჭირო. ქალები თვითმმართველობის ყველა სამსახურსა და კომიტეტში არიან წარმოდგენილნი, მათ შორის ფინანსურ და იურიდიულ სამსახურებში, თუმცა მათი დიდი ნაწილი ტრადიციულად ისეთ სფეროებშია დასაქმებული, სადაც ქალები დომინირებენ – განათლების, კულტურის, ჯანდაცვისა და სოციალურ სამსახურებში.

კვლევის რესპონდენტების 87.7%-ის თანახმად, ისინი არ არიან ჩართულნი ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში. მათი უმრავლესობა – 78.4% არ არის დაინტერესებული, ხოლო 15.1% ფიქრობს, რომ მათი ჩართულობა არაფერს შეცვლის, რადგან მათ ხმას ცვლილება არ შეუძლია. ამ კუთხით გენდერული განსხვავებები არ დაფიქსირებულა, რაც იმას ნიშნავს, რომ ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში მონაწილეობისგან თავის შეკავებაზე ქალებისა და კაცების თანაბარი რაოდენობა საუბრობს.

გრაფიკი №4

სხვადასხვა/თემთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში არჩართვის მიზეზები რეგიონების მიხედვით



გრაფიკი №5

სხვადასხვა/თემთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში არჩართვის მიზეზები რესპონდენტის სქესის მიხედვით



იმის გათვალისწინებით, რომ მოსახლეობის მხოლოდ 12%-ია ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ჩართული, გასაკვირია, რომ რესპონდენტების 47.1%-ის აზრით, გადაწყვეტილების მიღებისას ზოგჯერ ხდება ადგილობრივი მოსახლეობის აზრის გათვალისწინება. 5.6% ფიქრობს, რომ ადგილობრივი მოსახლეობის აზრს გადაწყვეტილების მიღებისას ყოველთვის ითვალისწინებენ და მხოლოდ 25.7% ფიქრობს, რომ მათ აზრს გავლენის მოხდენა არ შეუძლია. ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესზე ქალების ზეგავლენასთან დაკავშირებით შეხედულებები მსგავსია:

გრაფიკი №6

როგორ ფიქრობთ, ხდება თუ არა ადგილობრივი ქალების აზრის გათვალისწინება სათემო საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში?



ერთი მხრივ, რესპონდენტების დაახლოებით 50% აცხადებს, რომ მათი აზრი გათვალისწინებულია, მეორე მხრივ, ისინი ამბობენ, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესში არ მონაწილეობენ. ასეთი საპირისპირო სურათის მიღება შეიძლება განპირობებული იყოს პასუხებზე ე.წ. „სოციალური სასურველობის“ ზეგავლენით, როდესაც რესპონდენტი ცდილობს, ისეთი პასუხი გასცეს, როგორიც მისი აზრით მისაღები იქნება ინტერვიუერისათვის. ეს შეიძლება იმითაც იყოს გამოწვეული, რომ რესპონდენტები ნაკლებად ინფორმირებულები არიან გადაწყვეტილებების შესახებ და არ აქვთ მკაფიოდ ჩამოყალიბებული მოსაზრებები.

გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალების ნაკლებად ჩართულობის მიზეზები

გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალების ნაკლებად ჩართულობის ერთ-ერთ მიზეზად შეიძლება ტრადიციული გენდერული სტერეოტიპები ჩაითვალოს. მიგნება ეყრდნობა ფოკუს ჯგუფის, ასევე ძირითად ინფორმანტებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგად მიღებულ ინფორმაციას:

ფოკუს ჯგუფის მონაწილეები ინფორმირებულები არიან, რომ ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილებებს ძირითადად კაცები იღებენ. მათი შეფასებით, ადგილობრივი მთავრობის 80%-ს კაცები შეადგენენ, თუმცა არათანაბარ განაწილებას პრობლემად არც ქალები აღიქვამენ და არც - კაცები. კაცი მონაწილეები თანხმდებიან, რომ ქალები უნდა იყვნენ ჩართულები გადაწყვეტილების მიღების პროცესში, თუმცა, მათი მოსაზრებით, ქალის მთავარი მოვალეობა ბავშვების აღზრდა და საოჯახო საქმეების შესრულებაა. ეს კი მათ სხვა აქტივობებისთვის ნაკლებ დროს უტოვებს. როგორც ფოკუს ჯგუფის ერთ-ერთი რესპონდენტი აღნიშნავს:

გენდერული თანასწორობა ახლა აქტუალურია. მერე ბავშვებს ვინ გაზრდის? ქართული ტრადიციები არ უნდა დავკარგოთ, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ქალები არ უნდა იყვნენ სათემო საკითხებში ჩართულები. რაღაც მიზეზების გამო ეს სიტუაცია [ქალების სუბორდინირებული პოზიცია საზოგადოებაში] დრამატულად არის წარმოჩენილი, დამძიმებულია - [ამბობენ] რომ ქალი დაჩაგრულია და მისი გააქტიურებაა საჭირო (ფოკუს ჯგუფის დისკუსია, ბათუმი).

ამასთან ერთად, ფოკუს ჯგუფების კაცი მონაწილეები ფიქრობენ, რომ არ აქვს მნიშვნელობა ოჯახის პრობლემას ვინ წარუდგენს გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებს: ქალი თუ კაცი, მაგრამ ვინაიდან ქალები ძირითადად საშინაო საქმეებით არიან დაკავავებული, უმჯობესია, ეს კაცმა გააკეთოს, რადგან ის „ნებისმიერ შემთხვევაში გადის სახლიდან“. ფოკუს ჯგუფის მონაწილე ის ქალები, რომლებიც არ არიან ჩართულნი გადაწყვეტილების მიღების პროცესში და არ არიან მსგავსი საკითხებით დაინტერესებულნი, ამ პოზიციას ეთანხმებიან. განსხვავებულია ფოკუს ჯგუფების მონაწილე იმ ქალების პოზიცია, რომლებიც სხვადასხვა პროგრამის განხორციელებასა და განხილვებში აქტიურ მონაწილეობას იღებენ. ისინი თვლიან, რომ მათი როლი მნიშვნელოვანია, მათ შეუძლიათ ზეგავლენის მოხდენა, რის დასადასტურებლადაც კონკრეტული შემთხვევებიც არსებობს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი გამოცდილების მქონე ქალების რიცხვი ფოკუს ჯგუფებში საკმაოდ მცირე იყო.

ფოკუს ჯგუფის დისკუსიებმა მკაფიოდ აჩვენა, რომ ქალები, ქალის როლის საკუთარი აღქმიდან გამომდინარე, უმეტესწილად პასიურები არიან სათემო გადაწყვეტილებების მიღებასთან დაკავშირებით, რაც სრულად ემთხვევა ფართოდ გავრცელებულ სტერეოტიპებს, რომელთა მიხედვითაც ქალი სახლში უნდა იჯდეს და ბავშვებს უვლიდეს, ხოლო სახლს გარეთ ოჯახის ინტერესებს მისი ქმარი წარმოადგენს. ამ სტერეოტიპების გამო, ქალები თავს იკავებენ სახლს გარეთ ინიციატივების გამოჩენისგან. ასე რომ, გენდერული სტერეოტიპები ზღუდავენ ქალის საშუალებას - იმოქმედოს.

კვლევის ფარგლებში გამოკითხული ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლის აღქმით, გენდერული ბალანსის მოთხოვნები მათ აქტივობებში „ხელოვნურია". მისი აზრით, სამუშაო უნდა შესრულდეს საზოგადოებრივ დონეზე, რათა საზოგადოების ყველა წევრს მიეწოდოს ინფორმაცია გენდერული თანასწორობის შესახებ. ბიზნესის მხარდამჭერი გრანტების თანაბრად გადანაწილების მცდელობა ქალებსა და კაცებზე კი აღიქმებოდა, როგორც ა) ძალიან რთული, რადგან ბიზნესაქტივობების არსებული გენდერული გადანაწილება არათანაბარია და ამ სფეროში უფრო მეტი კაცია ჩართული, ვიდრე - ქალი და ბ) არაეფექტური, რადგან ეს აქტივობების ხარისხის ხარჯზე, გენდერული თანასწორობის მხრივ არსებულ სიტუაციას „მხოლოდ 1%-ით" გააუმჯობესებდა. ამგვარი მსჯელობა ადასტურებს დადებითი ქმედებისა და გენდერული მეინსტრიმინგის შეზღუდულ გაგებას. მსგავსი მოსაზრებები გამოთქვა ზოგიერთი დონორი ორგანიზაციის წარმომადგენელმაც. (ინტერვიუები ძირითად ინფორმანტებთან).

გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალების ნაკლებად ჩართულობის პრობლემის დაძლევის ადგილობრივი ინიციატივები

დაფიქსირებულია ადგილობრივი ინიციატივები, რომლებიც მიზნად ისახავენ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალების ნაკლებად ჩართულობის პრობლემის აღმოფხვრას. მიდგომა ეყრდნობა შესაბამისი ლიტერატურის მიმოხილვასა და ინტერვიუებს ძირითად ინფორმანტებთან:

1. თვითდახმარების ჯგუფები და გენდერული ბიუჯეტირება

თვითდახმარების ჯგუფების შექმნის ერთ-ერთი ყველაზე მასობრივი ინიციატივა ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაცია ფონდ „ტასოს" ეკუთვნის და იგი მხარდაჭერილია გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ. ამ ინიციატივის მიზანი გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალების ნაკლებად ჩართულობის პრობლემის მოგვარებაა. ინიციატივის ფარგლებში, სულ 52 ჯგუფი შეიქმნა: 13 - შიდა ქართლში, 20 - ქვემო ქართლში და 19 - სამეგრელოში. ამ ჯგუფების წევრები ძირითადად ქალები არიან. ისინი ახორციელებენ ისეთ აქტივობებს, როგორიცაა: საქონლის ვაქცინაცია, სასმელი წყლის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, საბავშვო ბაღებისა და საგანმანათლებლო ცენტრების შენობების რემონტი, ასევე, პოეზიის საღამოები. ჯგუფების უზრუნველყოფა მოხდა სამუშაო გარემოთი ან აღჭურვილობით - ოფისით, კომპიუტერითა და ინტერნეტით. ამ რეალური შედეგების გარდა, ინიციატივის სხვა მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ ბენეფიციარები თემის განვითარების საქმეში უფრო გააქტიურდნენ და ამ მიზნის მისაღწევად ძალები გააერთიანეს. უფრო მეტიც, მაგალითად სოფელ ორსანტიაში, სამეგრელოს რეგიონში *(ინტერვიუები ძირითად ინფორმატორებთან)* ამ ჯგუფების ზოგიერთმა წევრმა სათემო ჯგუფები ჩამოაყალიბა, რომლებიც დაფინანსებას სხვა წყაროებიდან იღებენ. თვითდახმარების ჯგუფების ჩამოყალიბების პროცესი 2010 წლიდან 2015 წლამდე, ორ ფაზად გრძელდებოდა. ამჟამად აღნიშნულ ჯგუფებში 340 წევრია გაერთიანებული. თვითდახმარების, სათემო და ადგილობრივი მთავრობის ჯგუფებმა სხვადასხვა ტიპის ტრენინგი გაიარეს. ეს ქალები ადგილობრივი მმართველობისა თუ ბიუჯეტირების საკითხებში გათვითცნობიერდნენ და საკუთარ პოზიციებს აქტიურად იცავენ. ისინი ვერც კი წარმოიდგენდნენ, რომ „ოდესმე საკუთარ ბაღს დატოვებდნენ და თავიანთი მოსაზრებების საჯაროდ გამოხატვას დაიწყებდნენ" *(ინტერვიუ ძირითად ინფორმანტთან).*

ამასთან ერთად, თვითდახმარების ჯგუფების ზოგიერთი წევრი სათემო კომიტეტებში გაწევრიანდა და ადგილობრივ/სოფლის მოსახლეობასა და ადგილობრივ მთავრობას შორის მედიატორის ფუნქციას ასრულებს. ისინი აგროვებენ ინფორმაციას ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებებისა და ინიციატივების შესახებ, შემდეგ ამ ინფორმაციას გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებს აწვდიან და ზრუნავენ, რომ მოსახლეობის საჭიროებები მხედველობაში იქნას მიღებული. შედეგად, ადგილობრივი ქალები გადაწყვეტილების მიღების პროცესში აქტიურად ჩაერთნენ.

გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით, ფონდმა „ტასომ“, ბიუჯეტის გენდერული კუთხით შესადგენად, ადგილობრივი საკრებულოებისა და გამგეობის წევრებისგან დაკომპლექტებული სამუშაო ჯგუფები ჩამოაყალიბა. ეს ინიციატივა მხარს უჭერდა საქართველოს ხუთ მუნიციპალიტეტში მუნიციპალური დადგენილების ძალაში შესვლას, რამაც ამ მუნიციპალიტეტებში გენდერული ბიუჯეტირების სამუშაო ჯგუფების ჩამოყალიბებისთვის სამართლებრივი საფუძველი შექმნა. მუნიციპალური სამუშაო ჯგუფები და სათემო კომიტეტები ერთობლივად მუშაობენ ადგილობრივ ბიუჯეტებში გენდერული საკითხების გათვალისწინებისთვის.

გენდერული ბიუჯეტირება გულისხმობს ბიუჯეტის იმგვარ დაგეგმვას, პროგრამირებასა და შედგენას, რომ გათვალისწინებული იყოს გენდერული თანასწორობისა და ქალთა უფლებების დაცვის საკითხები. ამასთან, გენდერული ბიუჯეტირება მოიაზრებს გენდერული კუთხით არსებული ხარვეზების იდენტიფიცირებასა და აღმოფხვრას ქალთა საჭიროებებზე მორგებული სპეციალური პროგრამების დაგეგმვისა და ბიუჯეტირების გზით, ან ზოგად პროგრამებში ქალებისა და კაცების განსხვავებული საჭიროებების გათვალისწინებით, ან ორივე ამ საშუალების გამოყენებით. შესაძლოა, ბიუჯეტის გენდერული ანალიზი გადაწყვეტილების მიმღებ უწყებებს დაეხმაროს ხარვეზების იდენტიფიცირებასა და მოცემულ ბიუჯეტში დაფინანსების ხელახლა გადანაწილებაში, მათ საშუალება უნდა მიეცეთ დაინახონ, თუ რა ზეგავლენა ექნება გენდერულ ბიუჯეტირებას ქალებსა და კაცებზე[19].

იმ მუნიციპალიტეტების ადგილობრივი ბიუჯეტები, რომლებშიც გენდერული ბიუჯეტირება განხორციელდა - გორი, ზუგდიდი, მარნეული, თეთრიწყარო - მოწყვლადი მოსახლეობის მხარდაჭერას ითვალისწინებენ, ხოლო ზუგდიდის შემთხვევაში, მხარდაჭერა ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვისაა გათვალისწინებული[20]. გენდერული ბიუჯეტირების ფარგლებში, გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში სოციალურად მოწყვლადი მარტოხელა დედებისთვის 400-დან 700 ლარამდე სპეციალური დაფინანსება გამოიყო(ინტერვიუები ძირითად ინფორმატორებთან). გენდერული ბიუჯეტირების ინიციატივის განხორციელება 4 რეგიონში საწყის ეტაპზეა. ამჟამად ბიუჯეტის სისტემური რესტრუქტურიზაციის ნაცვლად, იგი უფრო არარეგულარული ბიუჯეტირების მსგავსია.

2. ქალთა ოთახები

გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ მხარდაჭერილი და „ტასოს“ მიერ განხორციელებული პროექტების თითქმის პარალელურად, შვეიცარიის განვითარების ფონდის დაფინანსებითა და სხვა ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, “Merci Corps“-მა, 2012 წელს, სამცხე-ჯავახეთსა და შიდა ქართლში სოფლის განვითარების მიმართულებით გენდერული მეინსტრიმინგის პირდაპირი აქტივობები წამოიწყო. აქტივობების მიზანი გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალების დაბალი ჩართულობისა და მუნიციპალურ სერვისებზე შეზღუდული წვდომის პრობლემის აღმოფხვრა იყო. მას შემდეგ ქალთა ოთახების რიცხვი, რომლებიც ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში ჩამოყალიბდა, 13-ს შეადგენს(2 კვლავ ჩამოყალიბების პროცესშია). ეს ოთახები: ა) განთავსებულია მუნიციპალიტეტის შენობაში, ბ) მათ ემსახურებათ მუნიციპალიტეტის მიერ დაფინანსებული მენეჯერი და გ) აღჭურვილია კომპიუტერებით, ინტერნეტით, ბიბლიოთეკითა და ბავშვთა კუთხეებით. ამგვარად, იმ ქალებს, რომლებიც მუნიციპალიტეტში საკუთარ საქმეზე მიდიან, საშუალება აქვთ, გამოიყენონ ეს ოთახები და კონსულტაციები მიიღონ მუნიციპალიტეტის მომსახურებების თაობაზე. ამას გარდა, ქალთა ოთახები ქალებისთვის თავშეყრის ადგილიცაა. მათ ხომ კაცებისგან განსხვავებით, ხშირად არ აქვთ საჯარო ადგილი შეკრებისთვის. კაცები კი, ტრადიციულად, უბანში, ღია ცის ქვეშ მოწყობილ თავშეყრის ადგილას იკრიბებიან, რომელსაც სასაუბრო ენაზე „ბირჟა“ ეწოდება (ინტერვიუები ძირითად ინფორმატორებთან).

„სახელმძღვანელო ქალთა უფლებების ადვოკატირება მონაცემებზე დაყრდნობით“ (გვ.14), რომელიც გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერითაა მომზადებული, ქალთა ოთახებს აღწერს, როგორც ქალთა უფლებების ადვოკატირების მაგალითს. ქალთა ოთახების მუნიციპალიტეტების

19 გენდერული თანასწორობა და მისი განხორციელება გენდერული ბიუჯეტირების გზით, ე. სეფაშვილი, 2010.

20 ბინის ქირისთვის ყოველთვიურად 200 ლარია გამოყოფილი.

შენობაში განთავსებისა და მათი ფუნქციონირებისთვის მუნიციპალური ხარჯების გამოყოფის გადაწყვეტილება კარგი საფუძველია ოთახების მდგრადი განვითარებისათვის, თუმცა, როგორც კვლევები აჩვენებს, ყველა მუნიციპალიტეტის გამგებელი მზად არ არის სახსრების გამოყოფა მომავალშიც გააგრძელოს[21]. ოთახის მენეჯერების მიერ წარმოებული სტატისტიკის მიხედვით, ქალთა ოთახებს საკმაოდ მოკრძალებული რაოდენობის ქალები სტუმრობენ. ვიზიტების ნაკლები რაოდენობის ერთ-ერთი მიზეზი ისიცაა, რომ ინფორმაცია კარგად არ არის გავრცელებული. ქალთა ოთახების ფუნქციებიდან ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მუნიციპალური სერვისების შესახებ კონსულტაციების გაწევაა და იგი მუნიციპალურ სერვისებზე ქალთა დაბალი წვდომის პრობლემის აღმოფხვრას ისახავს მიზნად, თუმცა „ინოვას“ მიერ მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, ეს მომსახურება ძალიან ცოტა ქალმა გამოიყენა („ინოვას“ კვლევაში ეს საკითხი ხაზგასმული არ არის). აშკარაა, რომ საჭიროა დამატებითი მცდელობები უფრო მეტი ქალის ჩართვისთვის.

იგივე კვლევის მიხედვით, გამოკვლეულ სოფლებში გენდერული ცნობადობის ნაკლებობა არსებობს. მაგალითად, წალკის რაიონის სოფლების, აშკალასა და კუშჩის რწმუნებულები აცხადებენ, რომ ქალი სახლში უნდა იჯდეს, რეპროდუქციული ფუნქციები შეასრულოს და სხვა აქტივობებში არ ჩაერთოს. ეს ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული სოფლებია, სადაც **ადგილობრივი ქალები ნაკლებად ფლობენ ქართულ ენას, რაც გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათ ჩართვას კიდევ უფრო რთულს ხდის.** იგივე ბარიერი სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ჩატარებული ფოკუს ჯგუფების დისკუსიებისასაც გამოვლინდა, სადაც ადგილობრივმა კაცებმა თავიანთი ოჯახის ქალ წევრებს, მათთვის „უცნობებთან შეხვედრის“ აკრძალვის მოტივით, ფოკუს ჯგუფებში მონაწილეობის უფლება არ მისცეს. სოფელი ნარდევანი (წალკის რაიონი) კარგი მაგალითია იმისა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ქალების დასაქმება ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებში: აქ სოფლის რწმუნებული ქალია და ამ ფაქტმა თანასოფლელ ქალებს მეტი მოტივაცია მისცა შეხვედრებში უფრო აქტიურად ჩასართავად[22].

ქალთა ოთახების ინიციატივას საფრთხე ემუქრება. ადგილობრივმა მთავრობამ შეიძლება მათი გაუქმება გადაწყვიტოს, რადგან ქალები ამ ოთახებს აქტიურად არ იყენებენ. ზოგიერთისთვის კვლავაც გაუგებარია, თუ რა ფუნქციები უნდა შეასრულონ მათ („სახელმძღვანელო ქალთა უფლებების ადვოკატირება მონაცემებზე დაყრდნობით“; ინტერვიუები ძირითად ინფორმატორებთან).

გენდერული თანასწორობა დროის გამოყენების ჭრილში

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ყოველდღიურ აქტივობებზე ქალისა და კაცის მიერ დახარჯული დრო თანაბარი არ არის. მიგნება ეყრდნობა კვლევისა და ფოკუს ჯგუფების მონაცემებს:

დროის ბიუჯეტი - იმ დროის გამოთვლა, რასაც ინდივიდი დღის განმავლობაში სხვადასხვა საქმის შესრულებაზე ხარჯავს, ეფექტურ ინსტრუმენტად ითვლება მოსახლეობაში გენდერული თანასწორობის პრობლემის აღმოსაჩენად (სეფაშვილი, 2008). ჯერჯერობით საქართველოში ორი ასეთი კვლევა ჩატარდა. ერთ-ერთი კვლევის მიხედვით, კაცებს ქალებზე ორჯერ მეტი თავისუფალი დრო აქვთ (ქალი და კაცი საქართველოში, 2006). მეორე კვლევის თანახმად, დასაქმებული ქალების 77% დამატებით 2 საათზე მეტს ხარჯავს სახლის საქმეებზე. ქალების მიერ შესრულებული უსასყიდლო სამუშაოს ოდენობა კაცებისას 13-ჯერ აღემატება (სეფაშვილი, 2008).

ფოკუს ჯგუფის მონაწილე ქალებისა და კაცების მიერ ცალ-ცალკე შევსებული დროის ცხრილი საინტერესო ინფორმაცია გვაწვდის, თუ როგორ აღიქვამენ ქალები და კაცები საკუთარი და პარტნიორის **დროის გადანაწილებას.** ყველა რეგიონში ქალები იმ საოჯახო საქმეების შესრულებაში არიან ჩართულნი, რომლებსაც კაცები არ ასრულებენ. ამავდროულად, დამატებით ქალები მსხვილფეხა საქონელსაც უვლიან. კაცებს ავალიათ იმ გარკვეული საქმეების შესრულება, რომლებსაც ქალები არ ასრულებენ. ესენია: ზამთრისთვის შეშის შეგროვება ან სახლში დაზიანებული ნივთების შეკეთება. დროის გამოყენების ცხრილებმა, რომლებიც მონაწილეებმა ფოკუს ჯგუფების

21 2015 წელს, როგორც ICCN პროექტის ერთ-ერთი აქტივობა, „ინოვას“ დაევალა ქალთა ოთახების სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავება. ორგანიზაციამ ინფორმაცია ფოკუსური ჯგუფებისა და ადგილობრივ მოსახლეობასთან ჩატარებული ინტერვიუების მეშვეობით მოიპოვა.

22 INNOVA. სტრატეგიული განვითარების გეგმა ჰორიზონტების გაფართოება: პროფესიული და ეკონომიკური განვითარების უკეთესი შესაძლებლობები ქალებისა და გოგონებისათვის. 2015.

შეხვედრისას შეავსეს, ცხადყო, რომ ქალები კაცებზე დიდხანს შრომობენ და ძირითადად უსასყიდლო საოჯახო საქმეების შესრულებაზე. დღის განმავლობაში შრომაზე დახარჯული საათების რაოდენობა რეგიონების მიხედვით განსხვავდება. სამეგრელოში განსხვავება ქალისა და კაცის მიერ დახარჯულ დროს შორის 2.5 საათი, ქვემო ქართლში - 3 საათი, აჭარაში - 3.5 საათი, სამცხე-ჯავახეთში - 4 საათი, ხოლო კახეთში - 8 საათია. კაცები ქალებზე მეტს მხოლოდ შიდა ქართლში შრომობენ, სადაც განსხვავება 2 საათს უდრის (იხ. დანართი #2). უნდა აღინიშნოს, რომ ამ მონაცემების განზოგადება შეუძლებელია, რადგან ისინი თითოეულ რეგიონში ერთ ან ორ ფოკუს ჯგუფშია მოპოვებული.

თუმცა, კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, შემდეგი დასკვნების გაკეთებაა შესაძლებელი: კაცები წლის განმავლობაში ოდნავ უფრო მეტ სამუშაო დღეს ხარჯავენ სასოფლო-სამეურნეო კულტურების ღირებულებათა ჯაჭვთან დაკავშირებულ აქტივობებზე (98.15), ვიდრე - ქალები (84.29), თუმცა მონაცემები რეგიონების მიხედვით განსხვავდება: აჭარაში ქალები უფრო მეტი დღის (92.2) განმავლობაში მუშაობენ, ვიდრე - კაცები (85.5); სხვა რეგიონებში კი კაცები და ქალები თითქმის ერთნაირად შრომობენ. კახეთში კაცები გაცილებით მეტ დღეს (91.34) ატარებენ შრომაში, ვიდრე - ქალები (54.76). ყველაზე დიდი განსხვავება კი შიდა ქართლში დაფიქსირდა, სადაც კაცები წელიწადში 146.86 დღეს შრომობენ, ხოლო ქალები შრომაში 88.45 დღეს ატარებენ. სეზონური მშრომელების სამუშაო დღეების რაოდენობა მნიშვნელოვნად ვერ ცვლის სურათს, რადგან ასეთების რიცხვი მცირეა: 17.00 სამუშაო დღე - კაცი და 15.90 სამუშაო დღე - ქალი სეზონური მშრომელებისთვის.

მეცხოველეობის ღირებულებათა ჯაჭვში ქალების მიერ დახარჯული სამუშაო დღეების რაოდენობა წლიურად 259.96 დღეს შეადგენს, ხოლო კაცების შემთხვევაში ეს რიცხვი გაცილებით მცირე - 165.77 დღეა. ყველა რეგიონში ქალი უფრო მეტ დროს ხარჯავს მეცხოველეობასთან დაკავშირებულ აქტივობებზე, ვიდრე - კაცი. ყველაზე დიდი სხვაობა - 130 დღე კახეთის რეგიონში დაფიქსირდა, ხოლო ყველაზე მცირე - 30 დღე სამცხე-ჯავახეთის რეგიონში.

მეცხოველეობისა და მიწათმოქმედების ღირებულებათა ჯაჭვზე დახარჯული სამუშაო დღეების რაოდენობის მიხედვით, **საქართველოს ყველა რეგიონში ქალები უფრო მეტს შრომობენ სასოფლო-სამეურნეო მიმართულებით, ვიდრე კაცები.** კაცები წლის განმავლობაში 263.92 დღეს ატარებენ შრომაში, ხოლო ქალები - 344.25 დღეს (80.33 დღე სხვაობა წელიწადში). ამასთან ერთად, ქალები სხვადასხვა საოჯახო საქმესაც ასრულებენ, რაც სხვაობას კიდევ უფრო ზრდის. ყველაზე დიდი სხვაობა ქვემო ქართლში დაფიქსირდა, მას აჭარის რეგიონი მოსდევს, ხოლო ყველაზე მცირე სხვაობა შიდა ქართლის რეგიონშია აღრიცხული.

ცხრილი №3

მეცხოველეობისა და მიწათმოქმედების ღირებულებათა ჯაჭვზე დახარჯული სამუშაო დღეების რაოდენობა სქესის მიხედვით.

	აჭარა		კახეთი		შიდა ქართლი		ქვემო ქართლი		სამცხე-ჯავახეთი		სამეგრელო - ზემო სვანეთი	
	მიწათმოქმედება	მეცხოველეობა	მიწათმოქმედება	მეცხოველეობა	მიწათმოქმედება	მეცხოველეობა	მიწათმოქმედება	მეცხოველეობა	მიწათმოქმედება	მეცხოველეობა	მიწათმოქმედება	მეცხოველეობა
კაცი	85.5	162,96	91,34	166,82	146.86	198,22	106.31	187,02	118.13	237,37	69.17	94,31
ქალი	92.2	279,56	54.76	294,54	88.45	262,61	111.78	323,50	114.86	323,50	65.07	144,97

ისეთი საოჯახო საქმეები, როგორებიცაა საჭმლის მომზადება, სარეცხისა და ჭურჭლის რეცხვა და უთოობა, ქალის მოვალეობაში შედის. კვლევის სამიზნე რეგიონებში არ გამოვლენილა ჭურჭლის სარეცხი მანქანის ფლობის შემთხვევა (ფოკუს ჯგუფის მონაწილეებზე დაყრდნობით). ქალები ამბობენ, რომ ჭურჭლის რეცხვა და უთოობა მუდმივად მათ უწევთ და ამას „დაუსრულებელ სამუშაოს“ უწოდებენ. იგივე შეიძლება ითქვას საჭმლის მომზადებაზეც, თუმცა, ქალებს ეს საქმე უფრო მეტად ეხალისებათ, რადგან ამით ოჯახის წევრებსაც და საკუთარ თავსაც სიამოვნებას ანიჭებენ. გამოკითხული რესპონდენტების 5%-ს სახლში სასმელი წყალი არ აქვს, ხოლო 14.5%-ს ხელი არასასმელ წყალზეც არ მიუწვდება. საშუალო პროცენტული მაჩვენებელი ყველა რეგიონს არ წარმოადგენს, რადგან ქვემო ქართლის რეგიონში მოსახლეობის დიდი ნაწილი სახლს შიგნით წყლის სისტემის არარსებობას უჩივის, ასეთი რესპონდენტების 73.3%-ია. სხვა რეგიონებში პროცენტული მაჩვენებლები მცირეა, თუ არ ჩავთვლით სამეგრელოს რეგიონს, სადაც რესპონდენტთა 9.5%-ს სახლში წყლის სისტემა არ აქვს.

ლიტერატურის მიმოხილვისა და ფოკუს ჯგუფების შედეგების მიხედვით, **ნარჩენების გადაყრა** ტრადიციულად ქალის მოვალეობაა. კაცები ამ სამუშაოს მხოლოდ იმ შემთხვევაში ასრულებენ, თუ სანაგვე ურნა სახლიდან შორსაა და მანქანით ტრანსპორტირებაა საჭირო, თუმცა ეს კვლევის მონაცემებით ნაწილობრივ დასტურდება, რადგან რესპონდენტების მხოლოდ 35.6% აცხადებს, რომ ნაგავს თვითონ ყრის და მათი უმრავლესობა ქალია. 28.3% ფიქრობს, რომ ნაგავს ოჯახის ყველა წევრი თანაბარი სიხშირით ყრის, ხოლო 20.0%-ის თქმით, ამ სამუშაოს ქმარიც ასრულებს და ცოლიც. პასუხებში გენდერული განსხვავებები დაფიქსირდა:

- მათგან (28.3%), ვინც ფიქრობს, რომ ნაგავს ოჯახის ყველა წევრი თანაბრად ყრის, 60% ქალია და 40% - კაცი;
- მათგან (20%), ვინც ფიქრობს, რომ ნაგავს ქმარიც ყრის და ცოლიც, დაახლოებით 55.1% ქალია და 44.9% -კაცი;
- მათგან (35.6%), ვინც ამბობს, რომ ნაგავს თავად ყრის, 71.1% ქალია და 28.9% - კაცი. ეს განსხვავება ქალისა და კაცის ქცევას შორის არსებულ რეალურ განსხვავებად უნდა ჩაითვალოს, რითაც დასტურდება, რომ ნაგვის გადაყრა ძირითადად ქალის მოვალეობაა.

23 ALCP-ის გენდერული ანალიზი, გვ. 16, 2015.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ ქალები კაცებთან შედარებით უფრო მეტად ასრულებენ როგორც პროდუქტიულ, ისე რეპროდუქციულ სამუშაოებს, რაც მათ ნაკლებ თავისუფალ დროს უტოვებს, თუმცა ფოკუს ჯგუფის მონაწილეების დიდი უმრავლესობის განცხადებით, ქალებს იმდენივე თავისუფალი დრო აქვთ, რამდენიც - კაცებს. ამავდროულად, ფოკუს ჯგუფების მონაწილე კაცები აზრით, ქალის მოვალეობა, გაზარდოს ბავშვები და მისდიოს „ქართულ ტრადიციებს“ - ეს გენდერული როლების განაწილების ტრადიციული აღქმაა.

სასოფლო-სამეურნეო აქტივობებში დროისა და როლების გენდერული განაწილების მსგავსი სურათი გვხვდება 2008 და 2009 წლებში (ALCP (მცირე კავკასიის ალიანსების პროგრამა), Mercy corps, 2011; შვეიცარიის განვითარების ფონდის გენდერული ანალიზი, 2011) ჩატარებული კვლევებისა და ფოკუს ჯგუფების საშუალებით მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით მომზადებულ დოკუმენტებში. ქალისა და კაცის პროდუქტიული როლები მეტნაკლებად თანაბრად არის გადანაწილებული, თუმცა რეპორდუქციული ფუნქციები უფრო მეტად ქალებს აკისრიათ. იგივე შედეგები აჩვენა 2015 წელს ALCP-ს მიერ აჭარაში ჩატარებულმა კვლევამ ქალებზე[23].

ამ კვლევას დამატებითი ღირებულება აქვს, რადგან მკაფიოდ აჩვენებს გენდერულ განსხვავებებს დროის განაწილების კუთხით სოფლის მეურნეობასა და საოჯახო საქმეებში. ქალები უფრო მეტად არიან ჩართულნი მეცხოველეობის ღირებულებათა ჯაჭვში და ზოგიერთ რეგიონში ეს მიწათმოქმედების ღირებულებათა ჯაჭვსაც ეხება. ორივე ღირებულებათა ჯაჭვზე დახარჯული დღეების რაოდენობა ყველა რეგიონში დაუბალანსებელია. აქედან გამომდინარე, ქალებს ნაკლები დრო რჩებათ სათემო ან გასართობ აქტივობებში ჩართვისთვის. ფოკუს ჯგუფების კაც მონაწილეებს კარგად არ აქვთ გაცნობიერებული ქალის შრომისა და დახარჯული დროის ფასი. მაგალითად, მათი აღქმით, საოჯახო ტექნიკა - სარეცხი მანქანა და მტვერსასრუტი ქალებს სრულიად ათავისუფლებს შრომისგან, თითქოს საოჯახო საქმეები ადამიანური ჩარევის გარეშე სრულდებოდეს. ეს მაგალითი კარგად აჩვენებს, რომ ადამიანები არასწორად აფასებენ იმ საქმეებს, რაშიც თავად პირადად არ მონაწილეობენ. შესაბამისად, ეს კიდევ ერთი

არგუმენტია იმისთვის, რომ ქალები აუცილებლად იყვნენ ჩართულნი გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რადგან კაცებს არ შეუძლიათ მათი ინტერესების სრულფასოვნად წარმოდგენა. კაცის გაზრდილი ჩართულობა უსასყიდლო საოჯახო საქმეებში კიდევ ერთ მიზანს/ამოცანას წარმოადგენს, რომელსაც არასამთავრობო ორგანიზაციები მთელ მსოფლიოში, მათ შორის საქართველოშიც, უწევენ ადვოკატირებას.

გენდერული შრომის გადანაწილება აგრარულ საქმიანობებში

გენდერული შრომის გადანაწილება გვხვდება აგრარულ საქმიანობებში. ეს მიგნება ეფუძნება ფოკუს ჯგუფისა და კვლევის მონაცემებს:

პროდუქტიული დავალებები გაყოფილია ქალებსა და კაცებს შორის. ზოგადად, ქალები უვლიან საქონელს და ფრინველებს, კაცები პატრონობენ ვენახსა და სკებს.

ფოკუს ჯგუფის წევრებმა წარმოადგინეს გენდერული შრომის გადანაწილების ორი არგუმენტი: კაცები ასრულებენ **ფიზიკურად მძიმე სამუშაოებს**; საქმეს, რომელსაც ძლიერი ფიზიკური ამტანობა სჭირდება (მსგავსი მიგნებები მივიღეთ 2011 წელს, ბაზრის გაერთიანებები სიღარიბის წინააღმდეგ), მაშინ, როცა ქალები ასრულებენ **შედარებით მსუბუქ სამუშაოებს**. მეორე არგუმენტი იყო ის, რომ კაცები და ქალები ასრულებენ ისეთ სამუშაოებს, რაც უკეთ გამოსდით. ორივე მათგანი შეიძლება მიჩნეულ იყოს ისეთ არგუმენტებად, რომლებიც ამყარებენ გენდერულ ნორმებსა და სტერეოტიპებს. იგივე არგუმენტებია გამოყენებული **აგრარულ საქმიანობებში შრომის გადანაწილებისას**: ქალის ბუნება უკეთ ეწყობა მოსავლის გადარჩევას, რადგანაც ისინი უკეთ ასრულებენ დეტალურ სამუშაოს, რომელიც მოთმინებას მოითხოვს. რესპონდენტები ამტკიცებენ, რომ კაცებს არ გააჩნიათ საკმარისი „ნებისყოფა“ მსგავსი რუტინული სამუშაოების შესასრულებლად.

- *ქალებს უკეთ გამოსდით მოწველა, ხილის გადარჩევა, ქალები უფრო სწრაფად აკეთებენ ამას; ქალებისთვის ეს უფრო ადვილად შესასრულებელი საქმეა;*
- *ქალებს უკეთ გამოსდით რეცხვა;*
- *ქალებმა უკეთ იციან, როგორ გააშრონ/ჩამოკიდონ თეთრეული (ფოკუსური ჯგუფური დისკუსიები).*

ქალებისთვის მძიმე სამუშაოს მხარდასაჭერად, აჭარაში „Mercy Corps“-ის პროექტების ფარგლებში, რომელიც SCO-ს მხარდაჭერით განხორციელდა, რძის შემგროვებელი რამდენიმე მცირე ცენტრი გაიხსნა. შედეგად, ქალებს შეუძლიათ საღი რძის ჩაბარება და მათ არ უწევთ ყველის ამოყვანა ან სხვა რძის პროდუქტების დამზადება, ბაზარში სიარული და პროდუქციის გასაყიდად დროის ხარჯვა. ამან გამოათავისუფლა მათი დრო, შეამსუბუქა მათი სამუშაო დატვირთვა და როგორც ერთ-ერთმა მთავარმა ინფორმანტმა აღნიშნა, დონორები დადებით გამოხმაურებას ღებულობენ პროექტში ჩართული ქალებისგან(მთავარი ინფორმანტის ინტერვიუ, ALCP ვებგვერდი).

აგრარულ სექტორში სამუშაო ძალის გენდერული გადანაწილების მიმართ დამოკიდებულება ოჯახებში გამჯდარ სტერეოტიპებს ეფუძნება. ქალები აღიქმებიან ფიზიკურად სუსტ, ხოლო კაცები -ძლიერ არსებებად და მიიჩნევა, რომ კაცს და ქალს სხვადასხვა სამუშაო უკეთესად გამოსდით. აქვე უნდა ითქვას, რომ ამ მტკიცებულებას ასუსტებს ჩვენი მიგნება: კერძოდ, თითქმის ყველა რეგიონში ქალები კაცებზე უფრო მეტს მუშაობენ, ქალების მიერ გაწეული სამუშაო დღეების რაოდენობა საშუალოდ წელიწადში 80 დღით აღემატება კაცების მიერ ნამუშევარ დღეებს. მიუხედავად იმისა, რომ ქალები მიიჩნევიან სუსტებად, ისინი ყველა რეგიონში კაცებზე მეტს მუშაობენ.

გენდერული განსხვავებები პროდუქტიული რესურსების ხელმისაწვდომობის საკითხში

ქალები და კაცები გასხვავებულად განიცდიან იმ სიძნელეებს, რაც რესურსების ხელმისაწვდომობისას ხვდებათ. ეს მიგნება ეფუძნება კვლევისა და ფოკუს ჯგუფის მონაცემებს:

კვლევის მიხედვით, მიზნობრივი რეგიონების - ქვემო ქართლი, შიდა ქართლი, კახეთი, სამცხე-ჯავახეთი, აჭარა და სამეგრელო-ზემო სვანეთი - მოსახლეობის დაახლოებით 90% ფინანსურ სირთულეებს განიცდის. რესპონდენტების 43,9% ძლივს ახერხებს საკვების ყიდვას; დაახლოებით 25%-ს არ აქვს კვებასთან დაკავშირებული პრობლემები, თუმცა აქვს სირთულეები ტანსაცმლის შეძენასთან დაკავშირებით. გამოკითხულთა დანარჩენ 25%-ს შეუძლია მხოლოდ იაფიანი საკვებისა და ტანსაცმლის შეძენა, მაგრამ არ

შეუძლია საყოფაცხოვრებო ტექნიკის ან უფრო ძვირადღირებული ნივთების ყიდვა. გამოკითხული ოჯახების 35%-ში ოჯახის მთავარ მარჩენალ ძალას ქალები წარმოადგენენ. განსხვავებები, სადაც ოჯახის მართვის სადავეებს ზოგან - კაცები, ზოგან კი ქალები ფლობენ, ასახულია შემდგომ პასუხებში: ოჯახების 54.2%, სადაც ქალია მთავარი მარჩენალი, აცხადებს, რომ ძლივს ყიდულობს საკვებს, განსხვავებით იმ ოჯახების 39.3%-ისგან, სადაც მთავარი მარჩენალი კაცია. იმ ოჯახების 25.8%-ს, რომლებსაც ქალი მართავს და იმ ოჯახების 30.7%-ს, რომლებსაც კაცი მართავს, უჭირთ ტანსაცმლის შეძენა. ამას გარდა, იმ ოჯახების 15.9%-ს, სადაც მთავარი მარჩენალი ქალია და იმ ოჯახების 23.1%-ს, სადაც მთავარი მარჩენალი კაცია, შეუძლია იაფი საკვებისა და ტანსაცმლის შეძენა, მაგრამ არ შეუძლია საყოფაცხოვრებო ტექნიკის ან უფრო ძვირადღირებული ნივთების ყიდვა. ეს განსხვავებები გვიჩვენებს, რომ ოჯახები, რომლებსაც ქალები უძღვებიან, უფრო მეტად განიცდიან გაჭირვებას.

გამოკითხული მოსახლეობის უმეტესობა **აგრარულ პროდუქტებს ოჯახის მოხმარებისთვის** აწარმოებს. მოსახლეობის მხოლოდ მცირე პროცენტი აწარმოებს იმაზე მეტ რაოდენობას, რაც ოჯახის მოხმარებას სჭირდება(გასაყიდიდად). მოცემულია მთლიანი მოსავლის პროცენტული მაჩვენებელი, რაც ოჯახის მოხმარების საჭიროებას სცილდება:

- კარტოფილი - 5.6% ხუთ რეგიონში და 37.1% სამცხე-ჯავახეთში;
- ხილი - ალუბალი, ქლიავი, ატამი - 5.2% ხუთ რეგიონში და 15.5% სამეგრელო-ზემო სვანეთში.
- ხილი- ვაშლი -3.7% ხუთ რეგიონში და 11.4% სამეგრელო-ზემო სვანეთში;
- კაკალი, ნუში - 3.2% ხუთ რეგიონში და 13.5% სამეგრელო-ზემო სვანეთში.

გამოკითხული მოსახლეობის უმეტესი ნაწილი მეცხოველეობის პროდუქტებს საკუთარი მოხმარებისთვის აწარმოებს. გასაყიდად ზოგიერთ პროდუქტს მოსახლეობის მხოლოდ 1-2% აწარმოებს. მცირე გამონაკლისებია რძე და რძის პროდუქტები, რომლებიც გასაყიდად ყველა რეგიონში მოსახლეობის 7.6%-ს გააქვს(სამცხე-ჯავახეთში 18.3% უწევს რეალიზაციას).

მოსახლეობის დაახლოებით 15%-ს გააჩნია ფერმის შენობები და 5.9%-ს აქვს ტრაქტორი. მცირე განსხვავებაა სქესის ჭრილში: ფერმის შენობის საკუთრებაზე უფლებას ქალების 15.2% და კაცების 14% აცხადებს; ტრაქტორის საკუთრებაში ქონაზე უფლებას ქალების 5.7% და კაცების 6% აცხადებს. გამოკითხული ქალების 80% ჩართულია სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში. შესაბამისად, ისინი შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც ფერმერები. ამ ქალების 63%-ს ხელი მიუწვდება (ფლობს, ქირაობს, ან უსასყიდლოდ იყენებს) სხვადასხვა ფერმერულ საშუალებასა (შენობები, სათავსოები) და ტექნიკაზე (ტრაქტორი). მათ შორის, 21% საკუთრებაში ფლობს აღნიშნულ საშუალებებს (79% ქირაობს, ან უსასყიდლოდ იყენებს).

ფერმერული საშუალებების მფლობელ ქალებს შორის (21%) სხვადასხვა ტექნიკისა და ნაგებობების საკუთრების მაჩვენებლები შემდეგია:

- ფერმერული დანიშნულების შენობა-ნაგებობები - 70%
- ტრაქტორი - 26%
- სათბური - 7%
- საირიგაციო მოწყობილობა - 3%
- სამაცივრე დანადგარი - 1%

კვლევის მიხედვით, უფრო მეტი ქალი (58.52%) საუბრობს დასამუშავებელი მიწის ხელმისაწვდომობაზე, ვიდრე - კაცი (41.58%). მათ მიერ დამუშავებული ფართობი ან მათივე საკუთრებაშია, ან იჯარით აქვთ აღებული ან თავისუფალ მოხმარებაშია. ზემოთ წარმოდგენილი დასკვნა საჭიროებს სიღრმისეულ განხილვას, თუმცა კვლევაში ასევე დაფიქსირდა გაუგებრობა კითხვარში არსებული ერთ-ერთი შეკითხვის ბუნდოვნების გამო, რომელიც მიწის დამუშავებასთანაა დაკავშირებული: სავარაუდოდ, გამოკითხული კაცების რაღაც რაოდენობა თავად არ ამუშავებს მიწას, თუმცა ბაზარზე გააქვს მეუღლის მიერ დამზადებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია. სწორედ ეს კაცები აღნიშნავენ, რომ არ აქვთ წვდომა მიწაზე. სხვა კვლევები გვიჩვენებს, რომ ძირითადად ქალები განიცდიან პრობლემებს მიწის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით: „მიწასთან და სხვა აგრარულ ხარჯებთან წვდომა თეორიულად კაცებსა და ქალებს თანაბრად აქვთ, პრაქტიკა კი გვიჩვენებს, რომ ქალებს

უფრო ნაკლები ალბათობით გააჩნიათ იმ ქონების კანონიერად დაცვის საშუალება, რაც მათ სახელზეა რეგისტრირებული და არის მართვის საკითხები, რაც ასოცირდება ტრადიციულ როლებთან და გავლენის მომხდენ ურთიერთობებთან"[24]. გაეროს ქალთა ორგანიზაციამ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ ქალებთან კვლევა ჩაატარა, რომლის დროსაც ასევე გამოვლინდა, რომ ყველა ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ქალი აღნიშნავს მიწის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებულ პრობლემებს[25]. სხვა კვლევის მიხედვით, კაცებს აქვთ ფერმების 70%, მაშინ, როცა საქართველოში ქალების საკუთრებაში ფერმების 30%-ია[26].

ფოკუს ჯგუფების განხილვისას დგინდება, რომ პროდუქტიულ რესურსებთან წვდომა, რომლებიც ბაზრის მოთხოვნების დამაკმაყოფილებელი დონის წარმოების საშუალებას იძლევა, ძირითადად პრობლემას წარმოადგენს. ამის დასტურია: საძოვარი ტერიტორიებისა და სასუქის სიმცირე, ასევე შესაბამისი ცოდნის ნაკლებობა, თუ როგორ უნდა მოხდეს მათი გამოყენება. პრობლემას წარმოადგენს ტექნიკის ნაკლებობა და მოძველებული ტექნიკაც. ფოკუს ჯგუფების განხილვისას დაფიქსირდა საირიგაციო სისტემებისა და სარწყავი წყლის ნაკლებობის პრობლემაც, რის მიზეზადაც სიძვირე სახელდება.

როგორც კვლევის შედეგები გვიჩვენებს, რესპონდენტები პრობლემებს მიწის დამუშავებასთან დაკავშირებით ყველა რეგიონში აფიქსირებენ, თუმცა ძირითადი პრობლემები რეგიონების მიხედვით განსხვავდება. საბოლოო ჯამში კი სარწყავი წყლის ხელმისაწვდომობა და სასოფლო-სამეურნეო მიწის უფრო მცირე ფართობით ხელმისაწვდომობა ყველა რეგიონში უმთავრესი პრობლემაა. სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკლებობა განსაკუთრებით პრობლემურია აჭარაში, სამეგრელოსა და ქვემო ქართლში, რასაც რესპონდენტების დაახლოებით 20% აცხადებს. ეს მაჩვენებელი ყველაზე დაბალია კახეთში, სადაც რესპონდენტების მხოლოდ 2.4% საუბრობს სასოფლო-სამეურნეო მიწის ხელმისაწვდომობის პრობლემაზე. ასევე, ყველა რეგიონში სირთულეს წარმოადგენს მიწის დასამუშავებელი ტექნიკის ხელმისაწვდომობა, რაც, ძირითადად, განპირობებულია მაღალი ღირებულებით(განსაკუთრებით აღინიშნება შიდა ქართლსა და კახეთში, რომლებსაც მოსდევს სამცხე-ჯავახეთი და აჭარა) და ტექნიკის ხელმისაწვდომობაზე დიდხანს ლოდინით (ეს საკითხი განსაკუთრებით მწვავედ დგას კახეთსა და სამცხე-ჯავახეთში). რესპონდენტების მცირე რაოდენობამ განაცხადა, რომ ის ტექნიკა, რაც მიწის დამუშავებისთვისაა ხელმისაწვდომი, მოძველებულია, თუმცა აჭარასა და შიდა ქართლში, რესპონდენტების 10-15%-მა განაცხადა, რომ მათთვის ეს ტექნიკა საერთოდ არ არის ხელმისაწვდომი. სასუქებით, ჰერბიციდებით, ფუნგიციდებით, ინსექტიციდებითა და სხვა ქიმიკატებით სარგებლობა, მაღალი ფასის გამო, ყველა რეგიონში ასევე შეზღუდულია. ქვემო ქართლის რესპონდენტები ამ პრობლემას ყველაზე ნაკლებად ასახელებენ (5.1%), მაშინ, როცა აჭარასა და შიდა ქართლში მასზე რესპონდენტების დაახლოებით ნახევარი საუბრობს. ამ უკანასკნელ რეგიონში, თითქმის 20% ასევე აღნიშნავს, რომ აღნიშნული ქიმიური დანამატები არ არის სასურველი ხარისხის, სხვა რეგიონებში კი ეს მაჩვენებელი დაბალია. მხოლოდ მცირე რაოდენობის რეპონდენტები საუბრობენ კვალიფიციური აგრონომის რჩევებისა და სამუშაო ძალის არქონის პრობლემაზე, მაშინ, როცა ბაზრის ხელმისაწვდომობის პრობლემა ძირითადად აჭარაში გამოვლინდა(რესპონდენტების 16.6%-ის მიერ). ბაზართან წვდომა გართულებულია შემდეგი მიზეზების გამო: ა) ცუდი გზები (მიუხედავად იმისა, რომ მთავარი გზები არის კარგ მდგომარეობაში, სოფლის დამატებითი გზები მწყობრიდანაა გამოსული) და ბ) სახსრების არქონა ტრასპორტირებისთვის და ბაზრებში პროდუქციის გასაყიდი დახლების დაქირავებისთვის. სარწყავი წყლის ხელმისაწვდომობის პრობლემა სამცხე-ჯავახეთში, ქვემო ქართლში, კახეთსა და შიდა ქართლში 35-50%-მა დააფიქსირა. ეს პრობლემა ნაკლებად აწუხებთ აჭარასა და სამეგრელოში.

24 ქვეყნის გენდერული შეფასება. სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარება საქართველოში, სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია, გვ.43, 2013.

25 ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ქალების საჭიროებების კვლევა საქართველოში. მომზადებული ეთნიკურ უმცირესობათა ევროპული ცენტრის მიერ გაეროს ქალთა ორგანიზაციის / ევროკავშირის პროექტისთვის (ინოვაციური ინიციატივა გენდერული თანასწორობისათვის), 2014.

26 აღმოსავლეთ სამეზობლოში სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების გენდერული გზამკვლევი, 2014.

ცხრილი №4

მიწის დამუშავებასთან დაკავშირებული პრობლემები (15% -ზე ზევით პროცენტები აღნიშნულია ფერადად)

	აჭარა	სამეგრელო	კახეთი	ქვემო ქართლი	შიდა ქართლი	სამცხე-ჯავახეთი
არანაირი	35.2%	45.8%	15.0%	33.2%	9.0%	25.6%
სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკლებობა	17.9%	18.5%	2.4%	20.1%	12.5%	11.4%
ჩვენს რეგიონში მიწის დასამუშავებელი ტექნიკა ხელმისაწვდომი არ არის	11.4%	4.0%	0.0%	1.3%	15.4%	5.8%
ჩვენს რეგიონში არ არის საკმარისი მიწის დასამუშავებელი ტექნიკა/ გვიწევს დაცდა	4.7%	14.3%	17.4%	8.9%	13.5%	15.2%
მიწის დასამუშავებელი ტექნიკა მოძველებულია/ თანამედროვე ტექნიკა არ არის ხელმისაწვდომი	1.1%	5.1%	1.7%	1.4%	1.6%	1.8%
მიწის დასამუშავებელი ტექნიკის დაქირავება საკმაოდ ძვირია	16.7%	10.3%	32.0%	11.0%	41.4%	23.6%
რეგიონში სასუქები, ჰერბიციდები, ფუნგიციდები, ინსექტიციდები და სხვა ქიმიკატები ხელმისაწვდომი არ არის	3.8%	1.8%	4.0%	1.4%	11.6%	9.7%
სასუქები, ჰერბიციდები, ფუნგიციდები, ინსექტიციდები და სხვა ქიმიკატები ძალიან ძვირია	48.9%	35.2%	42.4%	5.1%	56.1%	25.1%
ხელმისაწვდომი სასუქები, ჰერბიციდები, ფუნგიციდები, ინსექტიციდები და სხვა ქიმიკატები სასურველი ხარისხის არ არის	7.2%	3.6%	4.1%	.4%	18.5%	1.8%
რეგიონში კვალიფიციური აგრონომის კონსულტაცია ხელმისაწვდომი არ არის	.7%	2.7%	.8%	.9%	.5%	5.0%
სარწყავი წყლის შეზღუდული ხელმისაწვდომობა	8.0%	4.2%	46.7%	43.8%	47.2%	35.2%
წვდომა ბაზართან	16.6%	0.0%	2.2%	4.6%	0.0%	6.3%
სამუშაო ძალის არ ქონა	1.5%	1.3%	0.0%	4.0%	.5%	1.6%

კაცებსა და ქალებს შორის ამ პრობლემებთან დაკავშირებით სტატისტიკურად მნიშვნელოვანი სხვაობები არ იქნა გამოვლენილი.

ცხრილში მოცემული მონაცემები ასევე აისახება გამოკითხული მოსახლეობის საჭიროებებში და მოიცავს მათაც, ვისაც სურს, რომ მომავალში ჩართული იყოს შემოსავლებზე გათვლილ აგრარულ საქმიანობებში:

1. მეტი მიწა:
- სამეგრელო - 23.2%;
- შიდა ქართლი- 22. 5%.
- ქვემო ქართლი- 20.6%;
- სამცხე-ჯავახეთი- 17.6%;
- აჭარა - 17.3%;
- კახეთი - 3.3%.

2. უკეთესი წვდომა მიწის დასამუშავებელ ტექნიკასთან:
- შიდა ქართლი- 48.6%;
- სამცხე-ჯავახეთი- 34.3%;
- კახეთი - 32.1%;
- აჭარა - 23.8%
- სამეგრელო - 23.2%;
- ქვემო ქართლი - 14.5%.

3. სასუქების, ჰერბიციდების, ფუნგიციდების, ინსექტიციდების და სხვა ქიმიკატების უკეთესი წვდომა:
- შიდა ქართლი- 63.7%;
- აჭარა - 41.9%;
- კახეთი - 37.8%;
- სამეგრელო-ზემო სვანეთი - 33.9%;
- სამცხე-ჯავახეთი- 19.1%;
- ქვემო ქართლი - 3.9%.

4. ირიგაციის ხელმისაწვდომობა:

- შიდა ქართლი- 58.3%;
- ქვემო ქართლი - 46.9%;
- კახეთი - 45.3%;
- სამცხე-ჯავახეთი- 38.6%;
- აჭარა - 16.0%;
- სამეგრელო-ზემო სვანეთი - 5.3%.

გამოკითხული მოსახლეობის დაახლოებით 20% აცხადებს, რომ მათ შემოსვალები არა სასოფლო-სამეურნეო გზით, არამედ ხელფასების სახით აქვთ, დაახლოებით 10% კი თვითდასაქმებულია. მონაცემები გვაჩვენებს, რომ გენდერული სახელფასო უთანასწორობა აშკარაა: საშუალო წლიური ხელფასი კაცებისთვის 4000 ლარია, მაშინ, როცა ქალებისთვის ის 3000 ლარს შეადგენს. საშუალო წლიური შემოსავალი კაცებისთვის, თვითდასაქმების შემთხვევაში, 4000 ლარია, მაშინ, როცა ქალებისთვის ის 2000 ლარია.

ექსპერტების აზრით(მთავარ ინფორმატორებთან ინტერვიუების დროს), სოფლებში სიღარიბის დაძლევა, მდგრადი საარსებო წყაროებისა და შემოსავალზე ორიენტირებული საქმიანობების შექმნა კომპლექსური საკითხებია. სხვა თემებთან ერთად, ის მოითხოვს ქცევაში ცვლილებასა და სურვილს, გაღებულ იქნას გარკვეული რისკები იმისთვის, რომ პროდუქციის გაყიდვის მიზნით წარმოება გაიზარდოს, ჩამოყალიბდეს აგრარული ბიზნესი და/ან შეიქმნას და გაერთიანება მოხდეს კოოპერატივებთან, თუმცა მსგავსი სახის შემოსავალზე ორიენტირებულ აგრარულ საქმიანობებში ჩართვას მხოლოდ გამოკითხულთა 20.9% გეგმავს. მათ შორის, ვინც მიწის დამუშავების გაფართოებას ფიქრობს, 40.3% ქალია და 59.7% - კაცი. ზოგიერთი კი (5.5%) ამ საჭიროებების მოსაგვარებლად სესხების აღებას გეგმავს.

ძირითადად, სესხით უზრუნველყოფა ქალებისთვის უფრო რთულად ხელმისაწვდომია, ვიდრე კაცებისთვის, რადგანაც ქალებს უფრო ნაკლებად აქვთ საკუთრებაში მიწა ან სახლი, რომელიც შეიძლება გამოდგეს ბანკისთვის ფინანსურ უზრუნველსაყოფად[27]. საქართველოში ქალები არიან უფრო ხშირად ქონების თანამფლობელები (მაგალითად, მეწილეები თავიანთი მშობლების ქონების ან გაყრის შემთხვევაში მიღებული ქონების), ვიდრე - მესაკუთრეები[28].

ფერმერული საქმიანობის დასაფინანსებლად სესხის აღებაზე კვლევაში მონაწილე რესპონდენტების მხოლოდ 9.3% საუბრობს. კაცებსა და ქალებს შორის სტატისტიკური მნიშვნელობის განსხვავება არ არის გამოვლენილი. ამ სესხების 49% აღებულ იქნა ტექნიკის შესაძენად; 20.9% - საქონლის შესაძენად, 17% - საოპერაციო/სამართავი ხარჯებისთვის, ხოლო დარჩენილი 13% გაყოფილი იქნა სხვა ხარჯებზე. რესპონდენტების 5.3 % ფიქრობს, რომ სასოფლო-სამეურნეო კრედიტები თანაბრად ხელმისაწვდომი არ არის კაცებისა და ქალებისთვის. ამ პასუხში სტატისტიკურად მნიშვნელოვანი სხვაობა აღმოჩენილი არ იქნა.

მთავარი ინფორმატორების ინტერვიუები გვიჩვენებს, რომ მოსახლეობის უმეტესობა სოფლის მეურნეობის ან ფერმერული მეურნეობის განვითარებით ძირითადად დაინტერესებული არ არის; მათ სურთ, რომ ჰქონდეთ მუდმივი სამუშაო, მაგალითად, მშენებლობის, განათლების ან სამედიცინო სფეროში, რადგანაც ეს უფრო სტაბილური შემოსავლის წყარო იქნება. აღნიშნული მიგნება განმტკიცებულია სხვა კვლევის შედეგებითაც, რომლებიც გვიჩვენებს, რომ ქალებს რურალურ ადგილებში ხელფასზე მუშაობა ურჩევნიათ. აღინიშნა, რომ *„ქალებს ურჩევნიათ ანაზღაურებადი სამუშაო, მათ არ უნდათ საქონლის მოვლით იყვნენ დაკავებულნი, რაც ძალიან რთული და ძვირადღირებული საქმეა"*[29].

მთავარი ინფორმატორები ასევე აღნიშნავენ, რომ, სამწუხაროდ, სოფლის მოსახლეობა არ იჩენს დიდ ინტერესს მიწის დამუშავების ან მესაქონლეობის ახალი და განსხვავებული მეთოდების შესწავლის მიმართ. უმეტესობა, ვინც ესწრება შეხვედრებს კოლეჯებში ან ინფორმაციას ცოდნისა და გამოცდილების გავრცელების სამსახურის მეშვეობით იღებს, სკეპტიკურადაა განწყობილი ქართველი და უცხოელი სპეციალისტების პრეზენტაციების

27 ქალთა ეკონომიკური შესაძლებლობები და გამოწვევები. საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია, 2014; ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა ქალთა მფლობელობაში არსებული მცირე და საშუალო ბიზნესისათვის განვითარებად ქვეყნებში. გლობალური პარტნიორობა ფინანსური ჩართულობისთვის, საერთაშორისო ფინანსური კორპორაცია; 2011 წლის ოქტომბერი.

28 მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ხელმისაწვდომობა ქალებისათვის: არსებული ბარიერები და შესაძლებლობები, გაეროს ქალთა ორგანიზაცია, ნინა დევდარიანი, 2013.

29 ALCP-ის გენდერული ანალიზი, გვ.16 2015.

მიმართ. ერთ-ერთმა მთავარმა ინფორმატორმა მისი გამოცდილება ამ სიტყვებით ჩამოაყალიბა"[...] მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ მივაღწიოთ მოსახლეობამდე და გავაგებინოთ, რომ მათ ახალი ცოდნა სჭირდებათ [...] ხალხი არის ჯიუტი, არ უნდა ცვლილება და ფიქრობს, რომ ყველაფერი ისევ ისე უნდა დარჩეს, რადგანაც წლები ასე კეთდებოდა ".

ფოკუს ჯგუფების შეხვედრებმა გვიჩვენა, რომ ის ფერმერები, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულები შემოსავალზე გათვლილ საქმიანობებში, ასევე დაინტერესებულნი არიან უფრო ღრმა, პროგრესული ცოდნის მიღებით და, ასევე, მათთვის საინტერესო სფეროში პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეძენით. ისინი, ვინც არ არიან ჩართულები შემოსავლებზე ორიენტირებულ საქმიანობებში, არ არიან დაინტერესებულნი ცოდნის გაღრმავებით, რადგანაც ასეთ განვითარებაში ხელშესახებ მოგებას ვერ ხედავენ, მათ ეშინიათ სიახლეების და/ან ასევე განიცდიან ფინანსების ნაკლებობას, რომ მოახდინონ ინვესტირება ბიზნესის განვითარების კუთხით.

გენდერული თანასწორობა ღირებულების დარიცხვის ჯაჭვის გადაწყვეტილების მიღებაში

ღირებულების დარიცხვის ჯაჭვის გადაწყვეტილების მიღება თანაბრად ვლინდება კაცებსა და ქალებში, თუმცა მცირედი გენდერული დისბალანსი მაინც შეიმჩნევა. ეს მიგნება ეფუძნება ფოკუს ჯგუფისა და კვლევის შედეგების მონაცემებს.

ფინანსური გადაწყვეტილებების მიღების უნარი არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ინდიკატორი, რომელიც რესურსების წვდომაზე მიუთითებს. კვლევის რესპონდენტების ერთი მესამედი (31.8%) ფიქრობს, რომ ოჯახის ყველა წევრი თანაბრად ღებულობს ასეთ გადაწყვეტილებას. თითქმის ამდენივე (27.1%) ფიქრობს, რომ გადაწყვეტილებას იღებს ორივე: ქმარიც და ცოლიც, ხოლო დარჩენილი 30.0% ფიქრობს, რომ მხოლოდ თავად იღებს გადაწყვეტილებას. გენდერული სხვაობა პასუხებში არ გამოვლენილა.

მოსავლის ღირებულებათა დარიცხვის ჯაჭვის შემდგომი ელემენტები ოჯახის წევრებს შორის მეტნაკლებად გადანაწილებულია: გადაწყვიტონ, სად და რა კულტურა მოიყვანონ, დაამუშავონ მიწა, დათესონ, მართონ ზრდის პროცესი, ასევე მოსავლის აღებისა და აღების შემდგომი საქმიანობები (შენახვა, დაფასოება, ტრასპორტირება). გამოკითხულ რესპონდენტთა დაახლოებით ერთი მესამედი აცხადებს, რომ გადაწყვეტილებები მიიღება ოჯახის ყველა წევრის მიერ. მეორე ერთი მესამედი ამბობს, რომ გადაწყვეტილებები მიიღება ცოლისა და ქმრის მიერ ერთობლივად, ხოლო დარჩენილი რესპონდენტების ერთი მესამედი ფიქრობს, რომ გადაწყვეტილებებს თავად იღებენ. გენდერული სხვაობები ამ პასუხებში არ გამოვლინდა.

მესაქონლეობის ღირებულებათა დარიცხვის ჯაჭვში გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, თუ რომელი საქონელი უნდა იყოლიონ, ოჯახის წევრები თანაბრად იღებენ. გამოკითხულ რესპონდენტთა დაახლოებით ერთი მესამედი აცხადებს, რომ გადაწყვეტილებები მიიღება ოჯახის ყველა წევრის მიერ. მეორე ერთი მესამედი ამბობს, რომ გადაწყვეტილებები მიიღება ცოლისა და ქმრის მიერ ერთობლივად, ხოლო დარჩენილი რესპონდენტები ფიქრობენ, რომ გადაწყვეტილებებს თავად იღებენ. გენდერული სხვაობები ამ პასუხებში არ გამოვლინდა. ფოკუს ჯგუფის მონაცემები ამტკიცებს, რომ ამ მიგნებებში არ არის გენდერული სხვაობები - კაცებიც და ქალებიც ამბობენ, რომ ისინი გადაწყვეტილებებს ერთობლივად იღებენ.

თუმცა სიტუაცია განსხვავებულია მესაქონლეობის ღირებულებათა ჯაჭვის დარიცხვის სხვა სეგმენტში, რადგანაც ქალები უმეტესად საქონლის სადგომსა და ჯანმრთელობაზე, მის კვებაზე, წველასა და რძის პროდუქტების დამზადებაზე ზრუნავენ. რესპონდენტების 20% აცხადებს, რომ მხოლოდ თავად იღებს გადაწყვეტილებებს. გენდერული სხვაობა ამ პასუხებში გამოვლენილია: ყველა სეგმენტში რესპონდენტების უმრავლესობა ქალია. რესპონდენტების იმ 20%-ში, რომლებმაც ამ კითხვას უპასუხეს, 70% ქალია.

გენდერული სხვაობა გამოვლინდა შემდეგი კითხვის პასუხებშიც: ვინ წყვეტს, როგორ დაიხარჯოს სასოფლო-სამეურნეო შემოსავალი. იმ რესპონდენტებს შორის, ვინც განაცხადა, რომ თვითონ იღებს გადაწყვეტილებას, 57.8% კაცია და 42.2% - ქალი.

პრობლემები სერვისების ხელმისაწვდომობის კუთხით

მოსახლეობა, რომელიც სოფლად ცხოვრობს, ზოგიერთი ძირითადი სერვისის ხელმისაწვდომობის კუთხით პრობლემას განიცდის. ეს მიგნება ეფუძნება

კვლევისა თუ ფოკუს ჯგუფის მონაცემებს და, ასევე, მთავარი ინფორმატორების ინტერვიუებს:

- მოსახლეობის 30.9%-ს არ აქვს წვდომა ნაგავსაყრელთან და
- მოსახლეობის 72.4%-ს არ აქვს წვდომა კანალიზაციის სისტემასთან

ნაგვის გადაყრასთან და კანალიზაციასთან დაკავშირებული საკითხები გასაკვირი არ არის. ეს მიგნებები დადასტურებულია ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ, რომელიც აქტიურადაა ჩართული საქართველოში ნარჩენების სისტემის განვითარებაში. ამ სისტემის განახლება 2017 წლისთვისაა დაგეგმილი.

დამატებით, სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის 28% აცხადებს, რომ არ გააჩნია წვდომა საზოგადოებრივ ტრანსპორტზე. სხვა რეგიონებში კი ეს პრობლემა მცირე პროცენტულობით გამოვლინდა: 0.4%-იდან -აჭარაში, 5.7%-მდე - ქვემო ქართლში.

სხვა სერვისები, როგორებიცაა ბანკები, საავადმყოფოები, სკოლები, სურსათის მაღაზიები და ა.შ. ხელმისაწვდომია გონივრული დაშორებებით. მოსახლეობა კარგად იღებს ამ სერვისებს. განსხვავება ქალებსა და კაცებს შორის პასუხებში არ გამოვლინდა.

საბავშვო ბაღების მიუწვდომლობა რესპონდენტების 30.8%-მა აღნიშნა. ამ რესპონდენტების 52.7% ქალია და 47.3% - კაცი. პროცენტულობა განსხვავდება რეგიონების მიხედვით. საბავშვო ბაღების არარსებობის საკითხი მწვავედ დგას შიდა ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში:

- 62.1% - ქვემო ქართლში
- 57.1% - სამცხე-ჯავახეთში
- 34.1% - აჭარაში
- 22.1% - შიდა ქართლში
- 12.7% - სამეგრელო-ზემო სვანეთში
- 7.2% - კახეთში

საბავშვო ბაღების სიტუაცია თითქმის ყველა მიზნობრივ რეგიონში შემაშფოთებელია, განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ, რომ საბავშვო ბაღების მშენებლობა სოფლის ბიუჯეტებში და/ან სოფლის მხარდაჭერის პროგრამებში მინიმალურად არის წარმოდგენილი. სოფლის მხარდაჭერის 2014 წლის პროგრამების მიხედვით, საბავშვო ბაღებისა და სკოლების მშენებლობა/რეაბილიტაცია დაგეგმილი იყო მთელი შემთხვევების/საქმინობების 7.18%-ში. როგორც ზემოთ იქნა ნაჩვენები, ქალები იშვიათად არიან წარმოდგენილნი გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებში ან შეხვედრებში, რა დროსაც სოფლის ბიუჯეტი და სოფლის მხარდაჭერის პროგრამა იგეგმება. ამგვარად შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, თუ რატომ არ არის საბავშვო ბაღები პრიორიტეტული. უფრო მეტიც, გამოკითხულთა 96.9% აცხადებს, რომ წარმოდგენილი საბავშვო ბაღები 5 წელზე მეტია არსებობს და მიუთითებენ, რომ თითქმის ბოლო 5 წლის განმავლობაში ახალი საბავშვო ბაღი არ გახსნილა. კვლევის თანახმად, საბავშვო ბაღების არარსებობა ზღუდავს ქალების იმ დროს, რომელიც მათ შეუძლიათ ოჯახს გარეთ სამუშაოს მიუძღვნან[30]. სოციალური ინფრასტრუქტურის შეზღუდული წვდომა, განსაკუთრებით კი საბავშვო ბაღების, არა მხოლოდ სოციალურ საკითხად უნდა იქნას მიჩნეული, არამედ ასევე პოტენციურ დაბრკოლებად ქალების შესაძლებლობებისთვის - შემოსავალი შეუქმნან საკუთარ თავსა და ოჯახებს.

ვეტერინარული სერვისების ხელმისაწვდომობა

ვეტერინარული სერვისების მიუწვდომლობა იშვიათად იყო ნახსენები რესპონდენტების მიერ. ეს მიგნება ეფუძნება კვლევისა და ფოკუს ჯგუფის მონაცემებს, ასევე, მთავარი ინფორმატორის ინტერვიუებს.

მთავარი ინფორმატორები, ისევე როგორც რესპონდენტები სხვადასხვა კვლევიდან (აჭარა, სამცხე-ჯავახეთი, 2015), **ვეტერინარულ სერვისებთან** დაკავშირებულ პრობლემებზე საუბრობენ:

1. ზოგადად პროფესიონალების ნაკლებობაა, განსაკუთრებით განახლებული ცოდნითა და უნარებით;
2. მოსახლეობის საკმაოდ დიდ ნაწილს არ შეუძლია ამ სერვისებში ფულის გადახდა;

პირველი პრობლემა დაკავშირებულია განათლების შესაძლებლობასთან. არსებული ვეტერინარების უმეტესობამ განათლება წლების წინ

30 ქალთა ეკონომიკური შესაძლებლობები და გამოწვევები. 2014.

მიიღო და ახლებური ცოდნა და ინოვაციური უნარები არ გააჩნია. ამავდროულად, მიუხედავად მწირი ვეტერინარული პროგრამებისა, მაინც არიან გარკვეული რაოდენობის ახალი თაობის/ახალგაზრდა ვეტერინარები. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განვითარების დეპარტამენტის მიერ მოწოდებული მონაცემები გვიჩვენებს, რომ 2012 წელს ტექნიკური და პროფესიული სასწავლებლები 118-მა ვეტერინარმა დაამთავრა. 2013 წელს კურსდამთავრებულთა რაოდენობა 86 იყო, 2014-ში კი - 101, თუმცა მიუხედავად ვეტერინართა სიმცირისა, თავისი სპეციალობით მუშაობას კურსდამთავრებულთა 40% იწყებს. ვეტერინარები ხშირად ფერმებსა და აფთიაქებში მუშაობენ. ამის სავარაუდო მიზეზი შეიძლება ზემოაღნიშნული მდგომარეობა იყოს. კერძოდ, ის რომ მოსახლეობა ვეტერინარების როლს ვერ აღიქვამს და მათ სერვისებზე მოთხოვნა ძალიან დაბალია. ასევე, ვეტერინარების აზრით, მათ აქვთ რთული და დაბალანაზღაურებადი სამუშაო.

მეორე პრობლემა ნაწილობრივ დაკავშირებულია ფერმერებში ვეტერინარული სერვისების აუცილებლობაზე ინფორმაციის ნაკლებობასთან. ამას გარდა, მოსახლეობის ნაწილს ვეტერინარულ სერვისებში თანხის გადასახდელად შეზღუდული რესურსები აქვს. ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა: „მაშინაც, როცა ვეუბნები ფერმერებს, რომ მათი ცხოველები მკურნალობის გარეშე დაიხოცებიან, ისინი მომსახურებაზე მაინც უარს ამბობენ“ (მთავარი ინფორმატორის ინტერვიუები, აჭარა, სამცხე-ჯავახეთი, 2015). ეს პრობლემა კვლევის მონაცემებშიც აისახა: ვეტერინარული კონსულტაციის ხარჯები მესაქონლეობაში ხარჯებს შორის ყველაზე დაბალია. მასზე ყოველწლიურად საშუალოდ 2.38 ლარი იხარჯება, სხვა ხარჯები კი 10 ლარიდან იწყება და 316 ლარამდე ადის. კახეთის მოსახლეობა ვეტერინარულ კონსულტაციებში ყველაზე ცოტა თანხას ხარჯავს, რაც წლიურად 0.62 ლარს შეადგენს.

ვეტერინარული სერვისების ხელმისაწვდომობის პრობლემის მიუხედავად, არც კვლევის და არც ფოკუს ჯგუფის მონაცემებმა არ გამოავლინა ის, რომ ადგილობრივი მოსახლეობა წუხს ამ სერვისების ნაკლებობაზე. **მიუხედავად ამისა, კვალიფიციური ვეტერინარების ნაკლებობა და მათი სერვისების ხარჯები პრობლემად უნდა იყოს მიჩნეული, განსაკუთრებით ქალებისთვის.** ამ პრობლემის მითითება ქალებთან მიმართებაში უნდა მოხდეს, რადაგნაც ძირითადად ისინი ზრუნავენ საქონელზე, ფრინველებსა და სხვა შინაურ ცხოველებზე. “ქალები წველიან ძროხას. აქედან გამომდინარე, ისინი აკვირდებიან მათ სიმპტომებს; ქალებმა იციან ყველაფერი მათ შესახებ“ (მთავარი ინფორმატორის ინტერვიუ).

შეზღუდული წვდომა აგრარულ განათლებასთან

აგრარულ განათლებასთან წვდომა შეზღუდულია. ამას გარდა, გოგონები, სტერეოტიპული აღქმის გამო, დაბრკოლებებს აწყდებიან, რაც შეუფერებელ სამუშაო ადგილებში გამოიხატება. ეს მიგნება ეფუძნება კვლევისა და ფოკუს ჯგუფის მონაცემებს, ლიტერატურულ მიმოხილვასა და მთავარი ინფორმატორის ინტერვიუებს.

ტექნიკურ და პროფესიულ სასწავლებლებს არ აქვთ სოფლის მეურნეობაზე მორგებული მრავალფეროვანი პროგრამები. ყველა მიზნობრივ რეგიონში საზოგადოებრივი და კერძო კოლეჯებია, თუმცა სოფლის მეურნეობის პროგრამები საერთოდ არ არის მოწოდებული სამეგრელო-ზემო სვანეთის[31] ან ქვემო ქართლის რეგიონებში. აჭარაში, ბათუმსა და ქობულეთში, ორი საზოგადოებრივი კოლეჯის მიერ, სამი სპეციალობაა შემოთავაზებული, შიდა ქართლში, გორსა და ხიდისთავში (სოფელი გორი რაიონში) - ხუთი სპეცილობა ორი კერძო კოლეჯის მიერ, სამცხე-ჯავახეთში - ოთხი პროგრამა ახალციხის საზოგადოებრივი კოლეჯის მიერ. ამ მხრივ კახეთი ყველაზე განვითარებული რეგიონია, რადგანაც მსურველებს ის მსგავს პროგრამებს, როგორც საზოგადოებრივ, ასევე კერძო სექტორში სთავაზობს. თელავის ერთ კერძო კოლეჯში სამი პროგრამა ფუნქციონირებს, კაჭრეთის (გურჯაანის რაიონი) ერთ კოლეჯში კი - შვიდი და ისინი ყველა აგრარულ სპეციალობას ფარავენ. კახეთში ვეტერინარული განათლების მისაღებად სტუდენტები აჭარიდანაც ჩამოდიან.

ჩვენს მიზნობრივ რეგიონებში აგრარული პროგრამები კერძო ტექნიკური და პროფესიული სასწავლებლების მთლიანი პროგრამების 5%-ს და

31 პროფესიული აგრარული განათლების პროგრამები შემოთავაზებულია უნივერისტეტის დონეზე, მესხიას სახელმწიფო უნივერსიტეტში (სენაკის ფილიალი).

საზოგადოებრივი სექტორის 8%-ს მოიცავს. (იხ. დანართი #3).მთავარი ინფორმატორების ცნობების მიხედვით, ქვეყანაში სამი თუ ოთხი საზოგადოებრივი კოლეჯია, რომელთა მთავარი მიმართულებაც აგრარული სფეროა.

მოსახლეობის დაახლოებით 30% ტექნიკურ და პროფესიულ სასწავლებლებში განათლების სერვისების მისაწვდომობას კარგად აფასებს, დანარჩენი 28% ხელმისაწვდომობას დამაკმაყოფილებლად მიიჩნევს. დაახლოებით 8% ფიქრობს, რომ განათლების ხელმისაწვდომობა ტექნიკურ და პროფესიულ სასწავლებლებში ცუდია. კახეთის მოსახლეობა ყველაზე ნაკლებადაა დაკმაყოფილებული: ამ რეგიონის თითქმის ნახევარი სერვისების ხელმისაწვდომობით კმაყოფილი არ არის. მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ კახეთის რეგიონში აგრარულ მიმართულებაზე კონცენტრირებული ყველაზე მეტი კოლეჯია, მათი სერვისები ამომწურავი არ არის. მოსახლეობის 30.7% ფიქრობს, რომ წვდომა ტექნიკურ და პროფესიულ განათლებასთან ბოლო 5 წლის განმავლობაში გაუმჯობესებულია, მცირედ ნაკლები (26.4%) ფიქრობს, რომ არ შეცვლილა და დაახლოებით 4% მიიჩნევს, რომ წვდომა შემცირდა. ტექნიკური და პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებათან დაკავშირებით, რეგიონების მიხედვით სხვაობებია: აჭარაში ამ გაუმჯობესებას მოსახლეობის 43.0% ეთანხმება, შიდა ქართლში - 28%, სამეგრელოში- 26.4% და ქვემო ქართლში - 24%. გენდერული სხვაობები პასუხებში არ იქნა გამოვლენილი.

კოლეჯები, რომლებიც აგრარულ პროგრამებს სთავაზობენ, სტუდენტების მოზიდვას ცდილობენ, თუმცა ისინი ხშირად სირთულეებს აწყდებიან. იმ მოსახლეობის ნაწილი, რომელიც აგრარულ საქმიანობას თავის ოჯახში ეწევა ან მცირე ზომის ფერმას ფლობს, შესწავლით დაინტერესებულია, მაგრამ დრო არ აქვს. ისინი, ვინც არ არიან ჩართულები მცირე ზომის აგრარულ საქმიანობებში და დრო აქვთ, დაინტერესებულნი არ არიან. ზოგიერთმა კოლეჯმა დაინტერესებული და დროის არქმონე პირებისთვის მოკლე კურსების შეთავაზება დაიწყო. დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით, კოლეჯებმა საფუძველი ჩაუყარეს ახალი ტიპის სწავლებას, სადაც პრაქტიკული კომპონენტებია გაზრდილი, მაგალითად ვეტერინარებისთვის. როგორც სწავლების ერთ-ერთ კომპონენტს, მომავალი სპეციალისტები სწავლობენ, როგორ უნდა აიღონ და გამოიკვლიონ სისხლის ანალიზი. ეს სასარგებლო, მაგრამ რთულად განსახორციელებელი მიდგომაა, რადგანაც სპეციალურ სასწავლო ფერმებს, აღჭურვილობას, და ა.შ. საჭიროებს. კიდევ ერთ სირთულეს წარმოადგენს სტუდენტების ტრანსპორტირება, რომლებიც შეიძლება შორიდან დადიან. ეს მიგნებები მიუთითებს უფრო მეტი პრაქტიკული, მოკლევადიანი აგრარული კურსებისა და, ასევე, ცოდნისა და გამოცდილების გავრცელების სამსახურის საჭიროებაზე, რომელიც ახლო ტერიტორიაზე მიზნობრივ მოსახლეობას პრაქტიკულ ცოდნას აწვდის და კონსულტაციებს სთავაზობს.

კოლეჯის წარმომადგენლებთან ინტერვიუ გვიჩვენებს, რომ ვეტერინარული ფაკულტეტი სტუდენტებს შორის პოპულარულია. ეს იმედისმომცემი ინფორმაციაა. ვეტერინარი სტუდენტების დაახლოებით 30% ქალია, თუმცა ფერმერობას უფრო ნაკლები ქალი სწავლობს. გოგონების განათლების სფეროში ნეგატიურ როლს გენდერული სტერეოტიპები თამაშობს. როგორც ერთ-ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, „ჩვენ გვყავდა ერთი საკმაოდ იმედისმომცემი გოგონა, რომელიც ქეითერინგის საქმეს სწავლობდა, მაგრამ როგორც კი რესტორანში პრაქტიკები დაიწყო, მამამისმა გააპროტესტა. ამბობდა: ჩემს გოგოს არაფერი ესაქმება რესტორანშიო!“. მსგავსი სტერეოტიპები კოლეჯის მასწავლებლებსაც აქვთ. ისინი მიიჩნევენ, რომ გარკვეული სპეციალობები შესაფერისი ან კაცისთვისაა ან - ქალისთვის. კაცი ვეტერინარები მიიჩნევენ, რომ მათი სამუშაო მძიმეა და ჭუჭყიანი, ამიტომაც ის ქალებისთვის შეუფერებელია (მთავარი ინფორმატორის ინტერვიუები).

აგრარული ტექნიკური და პროფესიული განათლებისა და ტრენინგების სფეროს ახალი მიღწევების პირობებში, საქართველოს მთავრობა, საერთაშორისო განვითარების ხელშემწყობი ორგანიზაციების დახმარებით, აგრარულ სფეროში ტექნიკური და პროფესიული განათლების მხარდასაჭერად პროგრამებს ახორციელებს. აჭარაში 11 პროფესიული კოლეჯია (მათ შორის ორი აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერაა დაფინანსებული; დანარჩენი ცხრა ბათუმის კერძო კოლეჯია). ამჟამად შავი ზღვის პროფესიული კოლეჯი დაფინანსებას გაეროს განვითარების, ევროკავშირის სოფლის მეურნეობისა და განვითარების სამეზობლო პროგრამის (ENPARD) ფარგლებში იღებს. იგი პესტიციდებისა და აგროქიმიკის ტექნიკოსებსა და მომვლელ-სპეციალისტებს (განსაკუთრებით სასათბურე ფერმისათვის) ორ ტრენინგ კურსს სთავაზობს. ამას გარდა, გაეროს განვითარების,

ევროკავშირის სოფლის მეურნეობისა და განვითარების სამეზობლო პროგრამის (ENPARD) ფარგლებში დაფინანსდა ტრენინგები ფერმერებისთვის ბიზნესგეგმის შემუშავების, საქართველოს საგადასახადო კოდექსის, ბუღალტერიის, ექსპორტის მოთხოვნებისა და პროცედურების თემებზე[32].

SCO და გაეროს განვითარების პროგრამა, 6 წლიანი პროექტის ფარგლებში, რომელიც 2018 წელს სრულდება, საქართველოში პროფესიული განათლების კოლეჯებს აქტიურად უჭერენ მხარს.

„პროექტის პირდაპირი ბენეფიციარი იქნება რვა საზოგადოებრივი კოლეჯი და შვიდი მუნიციპალური საინფორმაციო საკონსულტაციო (ცოდნისა და გამოცდილების გავრცელების სამსახურები) ცენტრი, ასევე, კერძო სერვისის მომწოდებლები, რომლებიც იმოქმედებენ, როგორც მულტიპლიკატორები ფერმერების უფრო სრულყოფილი უნარებისთვის. 60 ტექნიკური და პროფესიული სასწავლებლის მასწავლებლების, 250 ცოდნისა და გამოცდილების გავრცელების სამსახურის მუშაკებისა და უამრავი კერძო სერვისის მომწოდებლების კვალიფიკაცია გაიზრდება ტრენინგების, რჩევებისა და ქოუჩინგის მეშვეობით. დანარჩენი პროფესიული კოლეჯები და ცოდნისა და გამოცდილების გავრცელების ცენტრები მიიღებენ არაპირდაპირ სარგებელს განახლებული პროფესიული სტანდარტების, ახალი ტექნიკური და პროფესიული განათლების პროგრამების მოდულების, ტრეინინგ მასალებისა და სოფლის მეურნეობის განვითარების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გზით.“[33]

გაეროს განვითარების პროგრამა კოლეჯებს კახეთის რეგიონშიც ეხმარება. სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ახალციხის კოლეჯის დირექტორთან ინტერვიუმ აჩვენა, რომ ისინი ახორციელებენ მოდულარულ პროგრამებს თეორიისა და პრაქტიკის შერწყმით, წარმოდგენილი აქვთ ახალი სახელმძღვანელოები და სხვა სასწავლო მასალები, რომლებიც შემუშავებულია გაეროს განვითარების პროგრამის მიერ მოწვეული სპეციალისტების დახმარებით[34] (მთავარი ინფორმატორის ინტერვიუები).

საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების 2015-2020 წლების სტრატეგიული ეროვნული სამოქმედო გეგმა ასევე მოიცავს სტუდენტის მოტივაციის გაზრდასა და ინოვაციური სწავლების განვითარებას პრაქტიკისა და ახალი სასწავლო გეგმის მეშვეობით[35].

გენდერული თანასწორობა ცოდნისა და გამოცდილების გავრცელების სამსახურის მიმართულებით

ცოდნისა და გამოცდილების გავრცელების სამსახურის შესახებ რესპონდენტების უმეტესობა არ არის ინფორმირებული. ამ სერვისების შესახებ უფრო ნაკლებმა ქალმა იცის, ვიდრე - კაცმა. ეს მიგნება ეფუძნება ლიტერატურულ მიმოხილვას, კვლევის მონაცემებსა და მთავარი ინფორმატორის ინტერვიუებს.

კვლევის მიხედვით, მოსახლეობის 12.7% ფიქრობს, რომ ცოდნისა და გამოცდილების გავრცელების ცენტრები არ არის თანაბრად ხელმისაწვდომი კაცებისა და ქალებისთვის. ასევე, უფრო მეტი კაცი, ვიდრე ქალი აცხადებს, რომ ინფორმირებულია ცოდნისა და გამოცდილების გავრცელების სამსახურის თაობაზე. იმ 10.2%-დან, ვისაც სმენია მსგავსი ცენტრების შესახებ, თითქმის ათიდან ექვსი (57.8%) იყო კაცი და ათიდან ოთხი (42.2%) - ქალი. გამოკითხულთა მხოლოდ 1.4%-მა (33 ადამიანი) განაცხადა, რომ კონსულტაციებით უმეტესად სასოფლო-სამურნეო კულტურების კულტივაციის მიმართულებით სარგებლობენ.

ცოდნისა და გამოცდილების გავრცელების სამსახურები სხვაგვარად წოდებული საინფორმაციო-საკონსულტაციო სერვისცენტრები, 2013 წელს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ დაარსდა და საქართველოს ყველა რეგიონში მოქმედებს. თითოეული ოფისი ოთხი სპეციალისტით უნდა იყოს დაკომპლექტებული: აგრონომით, ვეტერინარით, მექანიკოსით, საინფორმაციო ოფიცრით და მენეჯერით/ჯგუფის ლიდერით, თუმცა ყოველთვის ასე არ ხდება; ოფისები სპეციალისტების, განსაკუთრებით კი ვეტერინარების, ნაკლებობას განიცდიან. მართალია, ამ საქმეს სხვა სპეციალისტები

32 მცირე კავკასიის ალიანსების პროგრამა, აჭარის ბაზრის ანალიზი, 2015.

33 სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული პროფესიული განათლების სისტემის მოდერნიზაცია საქართველოში, გვ.2 https://www.eda.admin.ch/content/dam/countries/countries-content/georgia en/VET%20projectdocx.pdf

34 ALCP, ბაზრის განახლებული ანალიზი სამცხე-ჯავახეთში, 2015.

35 საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების ეროვნული სამოქმედო გეგმა 2015-2020 წლებისთვის.

ითავსებენ, მაგრამ მათ შესაბამისი გამოცდილება აკლიათ. ზოგჯერ ისინი უკავშირდებიან ცენტრალურ კვლევით ცენტრს, რომელიც თბილისში მდებარეობს, თუმცა ეს კონსულტაციისა და დახმარების პროცესს აფერხებს. კონსულტაციებისა და ტრენინგების მიწოდებაზე, ისევე როგორც ადგილობრივი მოსახლეობიდან მათი აგრარული საქმიანობის ირგვლივ ინფორმაციის შეგროვებაზე, პასუხისმგებელია კადრები, თუმცა ფოკუს ჯგუფის ზოგიერთ წევრს არ აქვს ინფორმაცია ცოდნისა და გამოცდილების გავრცელების ცენტრის თაობაზე. კვლევის მიხედვით, მიზნობრივი რეგიონის მოსახლეობის უმეტესობას ასევე არ აქვს მსგავსი ინფორმაცია (84.6%).

მათ შორის ვისაც სმენია, მაგრამ არ დასწრებია ცოდნისა და გამოცდილების გავრცელების ცენტრის პრეზენტაციებს, თითქმის 40% (38.4%) არ არის დაინტერესებული, დაახლოებით იგივე რაოდენობას (37.3%) კი დრო არ აქვს დასასწრებად. მათ შორის, ვინც არ იყო დაინტერესებული, უმეტესობა (60.5%) ქალია. მათ შორის, ვისაც არ ჰქონდა დრო, უმეტესობა (68.7%) კაცია. ისინი, ვინც დაესწრნენ ტრენინგებს, დაინტერესებულნი იყვნენ სასოფლო-სამურნეო კულტურების კულტივაციითა და მესაქონლეობით. კონსულტაციები თანაბრად წარმოადგინეს აგრონომებმა და ვეტერინარებმა (49.8% და 36.7%). თითქმის გამონაკლისის გარეშე, მონაწილეებმა შეაფასეს ტრენინგები, როგორც სასარგებლო და ძალიან სასარგებლო.

გენდერული თანასწორობა კოოპერატივებში ჩართულობის მიმართულებით

კოოპერატივებში ცოტა ადამიანია ჩართული, წევრებს შორის ქალები უფრო მცირე რაოდენობით არიან წარმოდგენილნი, ვიდრე - კაცები. ეს მიგნება ეფუძნება ფოკუს ჯგუფისა და კვლევის მონაცემებს, ასევე მთავარი ინფორმატორის ინტერვიუებს.

სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, განვითარების მხარდამჭერ სხვადასხვა პარტნიორთან ერთად, კოოპერატივების განვითარების მიზნით, მხარი უნდა დაუჭიროს სპეციალურ პროგრამებს. კოოპერატივები მიიჩნევა ერთ-ერთ საუკეთესო გზად ადგილობრივი სოფლის მეურნეობისა და ფერმერების განსავითარებლად. შედეგად, საქართველოში უფრო და უფრო მეტი კოოპერატივი იქმნება, თუმცა ამ იდეას კვლავ ხშირად აქვს წინაღობები. ჩვენი ფოკუს ჯგუფების მონაწილეები, კოოპერატივების მიმართ დამოკიდებულებებისა და მათი ჩართულობის თვალსაზრისით, შეიძლება ორ ჯგუფად დავყოთ: ა) ისინი, ვინც არიან ჩართულები და ხედავენ მის დადებით მხარეებს და ბ) ისინი, ვინც არ არიან ჩართულები და ხედავენ მის უარყოფით მხარეებს. დისკუსიებმა გამოავლინა, რომ მათ, ვინც არ არიან ჩართულები, ეშინიათ საკუთარი ქონების კოოპერატივში ჩადების, რადგანაც არ არიან დარწმუნებულები, რომ კოოპერატივის დატოვების შემთხვევაში, საკუთრებას უკან მიიღებენ. სინამდვილეში, კოოპერატივის წესების თანახმად, წევრებს შეუძლიათ მიიღონ საკუთარი ქონება უკან, როგორც კი ისინი გასვლას გადაწყვეტენ. უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ შევძელით ამ ინფორმაციის ფოკუს ჯგუფებიდან მიღება, რადგანაც ქალები, რომლებიც ადგილობრივი განვითარების საკითხებში არიან აქტიურები, სპეციალურად იყვნენ შერჩეულნი დისკუსიებში მონაწილეობისთვის. ეს ქალები არასამთავრობო ორგანიზაციების პროექტების ფარგლებში („ტასო“, კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი და ა.შ.) სხვადასხვა საქმიანობაში არიან ჩართულები და ამავდროულად ჩართულები არიან კოოპერატივებშიც.

მიუხედავად კოოპერატივების განვითარების პოზიტიური ეფექტებისა, ქალების სოციალური და ეკონომიკური ჩართულობისთვის, კოოპერატივების კანონში ეს სქესი მაინც არ არის წამყვანი და ნათელია, რომ შექმნის პროცესში ქალები ისეთი მასშტაბით არ არიან ჩართულები, როგორც - კაცები. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოზე დაყრდნობით, საქართველოში კოოპერატივის 8,834 წევრია. მათ შორის 2,221 ქალია, რაც სრული წევრების 25%-ს წარმოადგენს. დაახლოებით 100 კოოპერატივს მართავს ქალი. არის ქალთა 35 კოოპერატივი, რომლებშიც 192 ქალია გაწევრიანებული და რომლებიც განვითარების მხარდამჭერი ორგანიზაციების პროექტების ფარგლებში („ტასო“ და განვითარების მხარდამჭერი სხვა სააგენტოები) დაარსდა. ფოკუს ჯგუფის წევრები, ისევე როგორც მთავარი ინფორმატორები, აღიარებენ, რომ კოოპერატივებში უფრო ცოტა ქალია ჩართული; ამას ალბათ საფუძვლად უდევს იგივე მიზეზი, რომელიც გადაწვეტილების მიმღებ ორგანოებში ქალების ნაკლებობას უკავშირდება. მათ მკაცრად სჯერათ, რომ ქალი უნდა დარჩეს სახლში

და ბავშვებს მიხედოს, რაც ნაკლებ დროს აძ-ლევს მას სხვა საქმეებისთვის. უფრო მეტიც, მიზნობრივი რეგიონების ზოგიერთ ნაწილში, ტრადიციული გენდერული როლები ზღუდავს ქა-ლს, რომ ოჯახს გარეთ ჰქონდეს ღია და თავი-სუფალი კომუნიკაცია კაცებთან. მაგალითად, ახალქალაქში, ეთნიკურად სომხურ გარემოში, ქალებს უფლება აქვთ კაცებთან ოჯახის გარეთ კომუნიკაცია მხოლოდ იმ შემთხვევაში ჰქონდეთ, თუ ისინი ოჯახის კაც წევრთან ერთად იმყოფებიან. ასეთი შეზღუდვები თითქმის შეუძლებელს ხდის ქალების მონაწილეობას საზოგადოებრივ პრო-ცესებში. გადაადგილების თავისუფლება, რო-გორც გენდერული თანასწორობის ერთ-ერთი ინდიკატორი, დარღვეულია. კვლევის მონაცემები, რომლებიც ოჯახის მარჩენალ ქალსა და ოჯახის მარჩენალ კაცებს შორის ტრანსპორტირების ხარჯებში არსებულ განსხვავებებს უკავშირდება, იმ ფაქტის დამატებით მტკიცებულებას წარმოადგენს, რომ ქალები უფრო ნაკლებად მგზავრობენ, ვიდრე - კაცები. ტრასპორტირების დაახლოებითი წილი საერთო ხარჯებში ოჯახის მარჩენალი კაცებისთვის 6.5%-ს შეადგენს, ოჯახის მარჩენალი ქალებისთვის კი - 4.96%-ს.

კვლევის შედეგები არ გვიჩვენებს გენდერულ გა-ნსხვავებებს კოოპერატივებში ჩართულობის თვალსაზრისით, რადგანაც მოსახლეობის მხოლოდ მცირე პროცენტი ადასტურებს კოოპერატივის წევრობას. იმ მოსახლეობის, როგორც კაცების, ასევე ქალების რაოდენობა, რომლებიც არ წარ-მოადგენენ კოოპერატივების წევრებს, 95.8%-ს შეადგენს. იმ ადამიანთა 2.3%, ვინც კოოპერატივს შეუერთდა, აცხადებს, რომ ის აღარ ფუნქციონირებს, მოქმედი კოოპერატივის წევრებს მხოლოდ გა-მოკითხულთა 0.8% წარმოადგენენ. ეს მცირე რაოდენობა არ იძლევა რაიმე დასკვნის გაკეთების საშუალებას ქალებისა და კაცების ჩართულობის განსხვავებებზე.

4. რეკომენდაციები

ქვემოთ მოყვანილი რეკომენდაციები სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესა და ქვესათაურებში მოყვანილ ჯგუფებს ეხება:

გენდერული თანასწორობა ეროვნულ და ლოკალურ დონეებზე

1. **გენდერულ თანასწორობაზე ძლიერი, კარგად პოზიციონირებული და რესურსებით სავსე შიდასექტორული ინსტიტუციური მექანიზმის შექმნა და ქალების გაძლიერება აღმასრულებელ ხელისუფლებაში. ეს ქმედება უნდა მოხდეს ცენტრალულ დონეზე, CEDAW-სა და პეკინის სამოქმედო პლატფორმის სტანდარტების შესაბამისად.** ეროვნული დონის მექანიზმს უნდა შეეძლოს გენდერული თანასწორობის პოლიტიკების შემუშავება, მათ შორის ხედვის/სტრატეგიის შემუშავება, სოფელში მცხოვრები ქალების ეკონომიკური გაძლიერებისა და ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში ჩართულობის კუთხით. ასევე, ამ მექანიზმმა მხარი უნდა დაუჭიროს შესაბამის სამინისტროებს, რათა მათ უზრუნველყონ გენდერული თანასწორობა სექტორულ პოლიტიკებში.
2. სამინისტროებმა უნდა გაითვალისწინონ **გენდერული ანალიზის განხორციელება/შიდა პოლიტიკებისა და ოპერაციების, მათ შორის შიდა გენდერული შესაძლებლობების, თვითშეფასება.** თვითშეფასების მიზანია ხარვეზების გამოვლენა და გენდერული თანასწორობის კუთხით კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა პოლიტიკებსა და პროცედურებში.
3. ასევე რეკომენდებულია, რომ **სამინისტროებმა** მოახდინონ გენდერული თანასწორობის კონცეფციის ინსტიტუციონალიზაცია და გენდერული თანასწორობის კუთხით თავიანთი პერსონალის დატრენინგება, მათ შორის ცოდნისა და გავრცელების სამსახურების პერსონალის დატრენინგებაც.
4. **სამინისტროებმა** უნდა შეაგროვონ და გააანალიზონ გენდერულ დონეზე დეტალური მონაცემები ყველა იმ საქმიანობის შესახებ, რომლებსაც ისინი ინიცირებენ ან ასრულებენ. **რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთვის რეკომენდაცია** იქნებოდა, რომ შეეგროვებინა სოფლის განვითარების პროგრამაში მონაწილეთა სია სქესის მიხედვით, რათა უფრო მეტი ქალი ჩაერთო ასეთ შეხვედრებში და მათი საჭიროებები და პრიორიტეტები დაეფარა.
5. **მუნიციპალური და სოფლის ადგილობრივი მთავრობა** უნდა დაეხმაროს არსებულ და მომავალ გენდერულ მრჩევლებს მუშაობაში და წაახალისოს მათი ახალი ინიციატივები გენდერული თანასწორობის მიღწევის საკითხში. მრჩევლები უნდა ცდილობდნენ ცნობადობის გაზრდას და ქალების წახალისებას, რათა მათ მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივად განხორციელებულ პროგრამებში, გენდერულად სენსიტიურ ბიუჯეტირებაში, სოფლის პრიორიტეტების დასახვაში და ა.შ.

დონორ/განვითარების მხარდამჭერ პარტნიორებთან კოორდინაცია

6. საჭიროა **საერთო კოორდინაციის გაუმჯობესება,** რათა თავიდან იქნას აცილებული ინტერვენციის დუბლირება ან გადაფარვა. რეკომენდებულია, გამოყენებული იქნას არსებული კოორდინაციის მექანიზმები ინტერვენციის შესახებ ინფორმაციის გაცვლის გასაუმჯობესებლად, რაცემსახურებაგენდერულ თანასწორობას სოფლის მეურნეობის სფეროში და სოფლის განვითარებაში. ამ მექანიზმებს შორისაა გენდერული თემის ჯგუფი (გაეროს ქალთა ორგანიზაციის თაოსნობით) და დონორთა კოორდინაციის განყოფილება (საქართველოს მთავრობის მეთაურობით). დონორთა კოორდინაციის განყოფილებას ასევე შეუძლია ხარვეზების იდენტიფიცირება (ტექნიკური მხარდაჭერა და საჭირო დაფინანსება) ეროვნული და ლოკალური სტრატეგიების განხორციელებაში, ასევე სოფლის მეურნეობისა და რეგიონული განვითარების გეგმებში.
7. გენდერულ თანასწორობაზე ტრენინგების მეშვეობით **დონორი/განვითარების მხარდამჭერი ორგანიზაციების შიდა შესაძლებლობების გაძლიერება, ისევე როგორც იმ სხვა ორგანიზაციების, რომლებიც პროგრამებს ადგილობრივ დონეზე ახორციელებენ.** ტრენინგების დახმარებით, ინიციატივები, რომლებიც დაფინანსებული ან

განხორციელებულია, გააძლიერებს ქალებს და განამტკიცებს გენდერული თანასწორობის შედეგებს.

გენდერული სტერეოტიპების მართვა

8. მთავრობამ და განვითარების მხარდამჭერმა პარტნიორებმა, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების ჩათვლით, **ცნობადობის გაზრდის ინიციატივები** (ეროვნული კამპანიები და ასევე ინიციატივები, რომლებიც გათვლილი იქნება სპეციფიკურ რეგიონებზე) პრიორიტეტული უნდა გახადონ, რაც გენდერული თანასწორობის სარგებელს დაანახებს, როგორც კაცებს, ასევე - ქალებს. მათ ასევე უნდა წაახალისონ ქალების აქტიური ჩართულობა საზოგადოებრივ მოღვაწეობაში, მათი როლი გადაწყვეტილების მიღებაში და წვლილი ადგილობრივი/სოფლის საზოგადოების ჩამოყალიბებაში და ა.შ.
9. მნიშვნელოვანია **ქალებისა და კაცების განათლების წახალისება აგრარულ სექტორში** და იმ ინიციატივების მხარდაჭერა, რომელიც მოუხსნის გოგონებს უამრავ ბარიერს ამ ტიპის განათლების პროგრამაში ჩასართავად, დაწყებული გენდერული სტერეოტიპების მართვიდან, დამთავრებული ფინანსური მხარდაჭერითა და სტუდენტური სესხების შეთავაზებით.

მიზნობრივი ინიციატივების შემუშავება და განხორციელება ადგილობრივ განვითარებაში, ქალებისა და კაცების უფრო თანაბარი და აქტიური ჩართულობის მიმართულებით

10. შესაბამისმა სამინისტროებმა განვითარების მხარდამჭერ პარტნიორებთან ერთად **სოფლის მეურნეობის განვითარება** უნდა **წაახალისონ.** ეს ქმედება მოითხოვს ფერმერების კვალიფიკაციის გაზრდას, მათზე მორგებული ტრენინგების ან კოლეჯის პროგრამების მეშვეობით, ასევე ცოდნისა და გამოცდილების გავრცელების ცენტრების ხარისხისა თუ მისაწვდომობის, ასევე რესურსებთან ხელმისაწვდომობის გაზრდას. ამგვარი ქმედებები გათვალისწინებულია საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების 2015-2020 წლების ეროვნულ სამოქმედო გეგმაში, თუმცა გეგმა არ მოიცავს გენდერული თანასწორობის მიდგომას.
11. შრომის მიმართულებით არსებული გენდერული თანასწორობის ხარვეზებისა და გენდერული სტერეოტიპების, ასევე იმ არაპროპორციულობის სამართავად, რომელიც მძიმე ტვირთად აქვთ ქალებს რეპროდუქციულ თუ პროდუქტიულ საქმეში, განვითარების მხარდამჭერმა ორგანიზაციებმა და პროექტების განმახორციელებელმა სხვა პირებმა უნდა შეიმუშავონ თავიანთი **პროექტები საკმაოდ მკაფიო გენდერული მიზნებითა და ინდიკატორებით, ასევე სპეციალური ინიციატივები, რომლებიც წაახალისებს ქალების ჩართულობას არატრადიციულ/კაცისთვის დამახასიათებელ, შემოსავალზე ორიენტირებულ საქმიანობებში.** ასევე უნდა იქნას წახალისებული კაცების პასუხისმგებლობების ზრდა აუნაზღაურებელ ზრუნვასა და საოჯახო საქმეში. სპეციალური საგანმანათლებლო/ცნობადობის გაზრდაზე ორიენტირებული კამპანიები შემუშავებული უნდა იქნას სხვადასხვა დაინტერესებული მხარის მიერ, მათ შორის არიან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და განვითარების მხარდამჭერი ორგანიზაციები, რომლებიც ახალისებენ ქალების როლს აგრარულ ბიზნესსაქმიანობებში (მაგალითად თხილის ღირებულებათა დარიცხვის ჯაჭვში) და კაცების როლს -ოჯახში.
12. ცოდნისა და გამოცდილების გამავრცელებელმა სამსახურებმა **კონსულტაციები მესაქონლეობისა და მოსავლის ღირებულებათა დარიცხვის ჯაჭვის მიმართულებით იმგვარად უნდა უზუნველყონ, რომ არც კაცები და არც ქალები არ იყვნენ დაჩაგრულები რომელიმე ტიპის რჩევის მიღებაში.** სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, ცოდნისა და გამოცდილების გამავრცელებელ სამსახურებთან და სხვა განვითარების მხარდამჭერ პარტნიორებთან ერთად, **უნდა წაახალისოს ცოდნისა და გამოცდილების გამავრცელებელი სამსახურების გამოყენება, განსაკუთრებით კონსულტაციების მიღება ქალების მხრიდან.**
13. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, რომელიც ჩართულია მცირემიწიან მესაკუთრეთა მხარდაჭერის პროგრამაში, მესაქონლეობის ღირებულებათა დარიცხვის ჯაჭვის კუთხით, ქალებზე უფრო მეტად ორიენტირებული უნდა იყოს. ამით ისინი შეძლებენ მხარი დაუჭირონ ქალებს ტექნიკის მიწოდებაში და განსაკუთრებით წყლით მომარაგებაში, რათა მათ საქონლის მოვლისას გაიადვილონ გაწმენდითი სამუშაოები. ეს ხელს შეუწყობს კონკრეტული მიზნების დასახვას

და ქალთა შორის მცირემიწიან მესაკუთრეთა პროგრამების წახალისებას.

14. **ქალებს უნდა მიეწოდოთ ინფორმაცია საკანონმდებლო წინაპირობაზე, წევრობასა და პოტენციურ სარგებელზე მდგრადი კოოპერატივების პირობებში, სოფლად შემოსავლის შექმნის/ბიზნესის წარმოების კუთხით.** იმ ქალების საჭიროებების შეფასებამ, რომლებიც დაინტერესებულნი არიან გაწევრიანებით, საჭირო უნარების განმავითარებელი ინიციატივებისთვის საფუძველი უნდა შექმნას. ეს ქმედება გააღრმავებს დაგეგმვის, წარმოების მართვისა და ვაჭრობის შესაბამის ცოდნასა და უნარებს.
15. **სესხების ხელმისაწვდომობა ქალებისთვის მთავრობის დახმარებით უნდა იქნას გაუმჯობესებული.** უნდა შემუშავდეს სპეციალური პროგრამა, რათა შეიქმნას სასურველი გარემო ქალებისთვის კრედიტის მისაღებად, სანაცვლოდ გაიზრდება თვითდასაქმების შესაძლებლობები. თუ გავითვალისწინებთ, რომ ხშირ შემთხვევაში სესხის მისაღებად უზრუნველყოფაა საჭირო, მიწისა და ქონების რეგისტრაციის პროცესში საჭირო რესურსები ქალებისთვისაც თანაბრად ხელმისაწვდომი უნდა იყოს.
16. **სოციალური ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობა,** განსაკუთრებით კი საბავშვო ბაღების, უნდა იქნას გაუმჯობესებული, რათა ქალებს შეუმსუბუქდეთ აუნაზღაურებელი შრომის ტვირთი. ასეთ სერვისებთან ხელმისაწვდომობა მათ მისცემს უფრო მეტ თავისუფალ დროს, რომ ჩაერთონ შემოსავალზე ორიენტირებულ საქმიანობებსა და ანაზღაურებად სამსახურებში. მაგალითად, სოფლის მხარდაჭერის პროგრამები, რომლებიც განხორციელდა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ, ასეთი მიზნებისთვის უნდა იქნას გამოყენებული.

ქალების მხარდამჭერი/მათზე ორიენტირებული ინიციატივები

17. კარდაკარ განვითარების ისეთი ინტერვენციები, რომლებიც მიმართული იყო ქალების გაძლიერებისკენ, მათ შორის, მაგალითად, სოციალური მობილიზაცია, რამაც შედეგად **თვითდახმარების ჯგუფები** ჩამოაყალიბა, კვლავაც უნდა გაგრძელდეს. თვითდახმარების ჯგუფების მხარდაჭერა კარგი მიდგომა იქნება **ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისთვის, მათი** შესაძლებლობის განსავითარებლად და უნარების გასაძლიერებლად, ასევე ქალების დაკავშირება აგრარული ცოდნისა და გამოცდილების გამავრცელებელ სერვისებთან, ფინანსურ სერვისებთან და ბაზრებთან უნდა იქნას გამოკვლეული. ასეთი მცდელობები მიზნად ისახავს მდგრადი შემოსავლის შექმნას ქალებისთვის და მათ მიერ.
18. ჩართული ქალების მხარდაჭერა (თვითდახმარების ჯგუფებში, CBO-სა **და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებში) GRB-სა და საადვოკატო უნარებზე ცოდნის გასაძლიერებლად, რათა მათ გავლენა მოახდინონ ადგილობრივ დაგეგმარებასა და ბიუჯეტირებაზე.** ქალების საჭიროებების ასახვა ადგილობრივ ბიუჯეტებში მნიშვნელოვნად განავითარებს პირობებს, სოფლის მეურნეობის პროდუქტების ხარისხსა და ბაზართან წვდომას.
19. GRB მიჩნეულია, როგორც გენდერული თანასწორობის ეფექტური საშუალება. საჭიროა, კარგად იქნას შედგენილი GRB-ის ყველა ინიციატივა, როგორც ეროვნულ, ასევე ლოკალურ დონეზე და მოხდეს ამ პრაქტიკის ინსტიტუციონალიზაცია ყველა სამინისტროში, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ჩათვლით. დამატებით, შესაბამისი სამინისტროებისა და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ ქალებისთვის გამოიყოს სპეციალური ბიუჯეტი აგრარულ სექტორში მათი ჩართულობის მხარდასაჭერად.

გამოყენებული ლიტერატურა

აღმოსავლეთ სამეზობლოში სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების გენდერული გზამკვლევი, 2014;

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ხელმისაწვდომობა ქალებისათვის: არსებული ბარიერები და შესაძლებლობები, გაეროს ქალთა ორგანიზაცია, ნინა დევდარიანი, 2013; ხელმისაწვდომია ლინკზე: http://georgia.unwomen.org/~/media/field%20office%20georgia/attachments/publications/2013/accessibilit%20of%20mfi%20services-eng.pdf

მეცხოველეობა გენდერულ ჭრილში ქვემო ქართლის რეგიონში, Mercy Corps, 2011 წლის სექტემბერი, ხელმისაწვდომია ლინკზე: http://alcp.ge/pdfs/5cdef1194ed321b36c427ed6c8e3678a.pdf;

ALCP, აჭარის ბაზრის ანალიზი, 2015; ხელმისაწვდომია ლინკზე: http://alcp.ge/pdfs/4268e90785bf31f74dc65448aaf737a8.pdf;

მცირე კავკასიის ალიანსების პროგრამა. ბაზრის განახლებული ანალიზი სამცხე-ჯავახეთში, 2015; ხელმისაწვდომია ლინკზე: http://alcp.ge/pdfs/8aa3b7418a5f9f7c6dc371a458455472.pdf;

დანართი C: ინსტრუქციები და გზამკვლევი გენდერული ბიუჯეტირების სამუშაო ჯგუფების ჩამოყალიბებისათვის; გენდერული ბიუჯეტირების ადვოკატირების სამუშაოს შედეგები; მცირემასშტაბიანი გრანტებისა და თვითდამხარების ჯგუფების დეტალური ანგარიში და სემინარის ანგარიში „პროექტის მართვა და რესურსების მობილიზაცია ქალთა სათემო ორგანიზაციებისათვის“. ფონდი ტასო, თბილისი, 2015;

გენდერული თანასწორობა - ქართული და საერთაშორისო კანონმდებლობის მიმოხილვა. გენდერული თანასწორობის პროგრამა, ნ. არჯევანიძე, CSS, 2012; ხელმისაწვდომია ლინკზე:http://css.ge/files/Papers/Nargiza_Arjevanidze,_Gender_Equality_-_legislation,_August_2012_Eng.pdf

გენდერული თანასწორობის პოლიტიკის შეფასება საქართველოში ქალთა ორგანიზაციების მიერ, ჯაფარიძე ელენე CSS, 2012; ხელმისაწვდომია ლინკზე: http://css.ge/index.php?lang_id=ENG&sec_id=52&info_id=463
ALCP-ის გენდერული ანალიზი, გვ. 16, 2015.

ფერმერი ქალების როლის მიმოხილვა სამცხე-ჯავახეთის რეგიონში. ALCP, Mercy Corps, 2011; ხელმისაწვდომია ლინკზე: http://alcp.ge/pdfs/fc39dabdf8cb2a8640e37648ec9fe7c1.pdf;

ჰორიზონტების გაფართოება: პროფესიონალური და ეკონომიკური განვითარების უკეთესი შანსები ქალებისა და გოგონებისათვის, 2014-2015 წლიური ანგარიში. კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო ცენტრი, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო, 2015; ხელმისაწვდომია ლინკზე: http://www.iccn.ge/eng/research/item/626-broadening-horizons-improved-choices-for-the-professional-and-economic-development-of-women-and-girls

გაეროს ქალთა დისკრიმინაციის სალიკვიდაციო კომიტეტის შემაჯამებელი კომენტარები მეოთხე და მეხუთე გაერთიანებულ პერიოდულ ანგარიშებზე, CEDAW/C/GEO/CO/4-5, პარაგრაფი 33, 2014 წლის ივლისი;

ქვეყნის გენდერული შეფასება. სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარება საქართველოში, სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია, გვ.43, 2013.

ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა ქალთა მფლობელობაში არსებული მცირე და საშუალო ბიზნესისათვის განვითარებად ქვეყნებში. გლობალური პარტნიორობა ფინანსური ჩართულობისთვის, საერთაშორისო ფინანსური კორპორაცია; 2011 წლის ოქტომბერი; ხელმისაწვდომია ლინკზე: http://www.gpfi.org/sites/default/files/documents/Strengthening.pdf

არსებული სოციალური დაცვის პოლიტიკის გენდერული ანალიზი იძულებით გადაადგილებული და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალების სპეციფიკური საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, გაეროს ქალთა ორგანიზაცია, 2013;

გენდერული თანასწორობა საქართველოში საერთაშორისო ინდექსებსა და რეიტინგებზე დაყრდნობით. ნანი ბენდელიანი, CSS, 2012; ხელმისაწვდომია ლინკზე: http://css.ge/files/Papers/Nani_Bendeliani,_Gender_Equality._June_2012,_Eng.pdf

გენდერული ანალიზი შვეიცარიის განვითარების კორპორაციის მიერ დაფინანსებული და Mercy Corps-ის მიერ განხორციელებული პროგრამის „ბაზრის ალიანსები სიღარიბის წინააღმდეგ“ ფარგლებში. ახალციხე, 2011;

გენდერული თანასწორობა და მისი განხორციელება გენდერული ბიუჯეტირების გზით, ე. სეფაშვილი, 2010; სამთავრობო პროგრამა ძლიერი დემოკრატიისა და გაერთიანებული საქართველოსთვის (ხელახლა დამტკიცდა 2015 წლის მაისში);

გენდერული ბიუჯეტირების ტრენინგის ანგარიში, ფონდი „ტასო“, თბილისი, 2015;

INNOVA. სტრატეგიული განვითარების გეგმა. ჰორიზონტების გაფართოება: პროფესიული და ეკონომიკური განვითარების უკეთესი შესაძლებლობები ქალებისა და გოგონებისათვის. 2015;

იძულებით გადაადგილებულ პირთა საარსებო საშუალებებით უზრუნველყოფის სტრატეგია (შესაბამისი სამოქმედო გეგმა შემუშავების პროცესშია);

საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ, 2010; ხელმისაწვდომია ლინკზე:: http://www.ecmicaucasus.org/upload/gender/Law%20on%20Gender%20Equality_ENG.pdf

კანონი კოოპერატივების შესახებ, სოფლის მეურნეობის კოოპერატივების განვითარების სახელმწიფო სააგენტოს დადგენილება, 2013; ხელმისაწვდომია ლინკზე: https://matsne.gov.ge/en/document/download/1972742/0/en/pdf

შერჩეული მუნიციპალიტეტების ადგილობრივი ბიუჯეტები, 2015;

გავაძლიეროთ ერთმანეთი თემის კეთილდღეობისათვის. ფონდი „ტასო“, თბილისი, 2011; ხელმისაწვდომია ლინკზე: http://taso.org.ge/data/file_db/vs0fA0wZi7_Brochure%20on%20Social%20Mobilization-2011.pdf

ბაზრის ალიანსები სიღარიბის წინააღმდეგ. ალიანსების გენდერული ანალიზი, SJ პროგრამის ფარგლებში ALCP, 2011; ხელმისაწვდომია ლინკზე: http://alcp.ge/pdfs/e2b4ef0b6c58861fa52733d17276205b.pdf;

ქალი მეწარმეების ეკონომიკური გაძლიერების ცვლილების შეფასება. ALCP, 2011; ხელმისაწვდომია ლინკზე: http://www.enterprise-development.org/download.ashx?id=2259;

შეხვედრები ერთი ფანჯრის პრინციპით იძულებით გადაადგილებული ქალების მხარდასაჭერად. ქალთა საინფორმაციო ცენტრი, ფონდი „ტასო“, 2012;

სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული პროფესიული განათლების სისტემის მოდერნიზაცია საქართველოში, გვ.2; ხელმისაწვდომია ლინკზე: https://www.eda.admin.ch/content/dam/countries/countries-content/georgia/en/VET%20projectdocx.pdf

საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების ეროვნული სამოქმედო გეგმა 2015-2020 წლებისთვის; ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სამოქმედო გეგმა 2013-2015 წლებისთვის;

გენდერული თანასწორობის ეროვნული სამოქმედო გეგმა 2014-2016 წლებისთვის; ხელმისაწვდომია ლინკზე: http://www.mod.gov.ge/assets/up-modul/uploads/pdf/gender/genderuli-Tanasworobis-erovnuli-samoqmedo-gegma.pdf;

ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ქალების საჭიროებების კვლევა საქართველოში. მომზადებული ეთნიკურ უმცირესობათა ევროპული ცენტრის მიერ გაეროს ქალთა ორგანიზაციის / ევროკავშირის პროექტისთვის (ინოვაციური ინიციატივა გენდერულ ითანასწორობისათვის), 2014; ხელმისაწვდომია ლინკზე: http://ecmicaucasus.org/upload/Ethnic%20Minority%20Women_Eng.pdf;

OXFAM-ის რეკომენდაციები გენდერული მეინსტრიმინგისათვის სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიაში, 2015;

სამიზნე რეგიონების განვითარების სტრატეგიები და სამოქმედო გეგმები გენდერულ ჭრილში (კახეთის, ქვემო ქართლის, სამეგრელოს, სამცხე-ჯავახეთისა და შიდა ქართლის რეგიონული განვითარების სტრატეგიები) 2013;

რეკომენდაციები სოფლის მეურნეობის განვითარების 2015-2020 წლების სტრატეგიაში და მის სამოქმედო გეგმაში გენდერის მეინსტრიმინგისათვის. სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის რეგიონული ოფისი ევროპასა და ცენტრალურ აზიაში, დონო აბდურაზაკოვა, არაა სანტიაგო ბაუტისტა. 2015;

2014 წლის მრგვალი მაგიდის შეხვედრების შედეგები. ფონდი „ტასო“, თბილისი, 2015;

საქართველოს სოციო-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია, „საქართველო 2020“.

სოციალური დამოკიდებულებები გენდერული თანასწორობის მიმართ პოლიტიკასა და ბიზნესში. მომზადებული „ეისითის“ მიერ გაეროს ერთობლივი პროგრამის „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისთვის საქართველოში“ ფარგლებში, თბილისი, 2013.

სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2015-2020; ხელმისაწვდომია ლინკზე: http://www.moa.gov.ge/Ge/Download/ShowLegislation?LegislationID=20;

შრომის მოთხოვნის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, საინჟინრო და ტექნოლოგიების პროგრამებში ჩართვისა და შესაძლებლობების კვლევა საქართველოში. კვლევის ანგარიში. მომზადებული IPM Research-ის მიერ პიტერ გეისთან, ნინო ჯავახიშვილთან და გიორგი შუბითიძესთან ერთად, თბილისი, 2014; ხელმისაწვდომია ლინკზე: http://www.mcageorgia.ge/cms/kcfinder/upload/files/MCA-G%20Labor%20Gender%20Social%20Study%20Report%20March%2025,%202014.pdf;

რეგიონული განვითარების კომისია, რეკომენდაციები საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017 წლების სტრატეგიისთვის, თბილისი, 2010;

გლობალური გენდერული ინდექსი, 2015; ხელმისაწვდომია ლინკზე: http://www3.weforum.org/docs/GGGR2015/cover.pdf

საქართველოს მოსახლეობის დროის ბიუჯეტისა და კეთილდღეობის სტრუქტურა, ე. სეფაშვილი, 2008;

გენდერული თანასწორობის მიმართ ქართველი ახალგაზრდების ცნობიერების დონის, აღქმებისა და დამოკიდებულებების კვლევა. ჯაფარიძე, ბარქაია, ჟღენტი, ამაშუკელი, კავკასიის შვეიცარიული აკადემიური ქსელი, 2014;

გაეროს ქალთა ორგანიზაციის წლიური ანგარიში 2013-2014; ხელმისაწვდომია ლინკზე: http://www.unwomen.org/~/media/58ED9AE6A3B544149C9DEFA302CC9884.ashx

სოფლის მხარდაჭერის პროგრამები 2014 და 2015 წლებში; ხელმისაწვდომია ლინკზე: http://www.mrdi.gov.ge/ge/news/projects/534bc6cf0cf2f176b8222afe

საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი. ხელმისაწვდომია ლინკზე:http://www.parliament.ge/ge/law/11146/28151

ქალთა ეკონომიკური შესაძლებლობა, გლობალური ინდექსი და რეიტინგი Economist Intelligence Unit-ის მიხედვით. 2012; ხელმისაწვდომია ლინკზე: http://www.juntadeandalucia.es/economiayhacienda/planif_presup/genero/documentacion/Women_Economic_index2012.pdf

საქართველოში ქალთა უფლებების ადვოკატირების სახელმძღვანელო, გაეროს ქალთა ორგანიზაცია. ხელმისაწვდომია ლინკზე: http://georgia.unwomen.org/~/media/field%20office%20georgia/attachments/publications/2014/womens%20rights%20evidence%20based%20advocacy%20manual%20geo.pdf

ქალთა ეკონომიკური შესაძლებლობები და გამოწვევები. საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია, 2014; ხელმისაწვდომია ლინკზე: http://www.economists.ge/en/publications/23-women-s-economic-opportunities-and-challenges

ცხრილი №5

ძირითადი ინფორმანტების სია

#	ძირითადი ინფორმანტი	ორგანიზაცია	ადგილმდე-ბარეობა	შესაბამისი პირი	ჩატარებული ინტერვიუების რ-ბა
1	არასამთავრობო ორგანიზაცია	ქალთა ფონდი და მეხსიერების კვლევის ცენტრი "ტასო"	თბილისი	მარინა თაბუკაშვილი - გენერალური დირექტორი ცისანა გოდერძიშვილი - პროექტის მენეჯერი	2 ინტერვიუ
2	არასამთავრობო ორგანიზაცია	ფერმერთა ასოციაცია	თბილისი	თამუნა თორია – აღმასრულებელი დირექტორი	1 ინტერვიუ
3	სახელმწიფო უწყება	სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო	თბილისი	გიორგი მიშელაძე - სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს უფროსი	1 ინტერვიუ
4	სახელმწიფო უწყება	ადგილობრივი თვითმმართველობა	ზუგდიდი	გიორგი გასაშვილი - ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის ეკონომიკური სტრატეგიისა და საინვესტიციო პოლიტიკის განყოფილების მთავარი სპეციალისტი	1 ინტერვიუ
5	სახელმწიფო უწყება	ადგილობრივი თვითმმართველობა	სამცხე-ჯავახეთი	ილია ზარდიაშვილი - ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი	1 ინტერვიუ
6	სახელმწიფო უწყება	ადგილობრივი თვითმმართველობა	გორი	გიორგი წვერავა - გორის რაიონის გამგეობის გამგებლის პირველი მოადგილე ლალი გიგაშვილი - ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის ბუღალტერიის განყოფილების უფროსი	2 ინტერვიუ
7	საერთაშორისო ორგანიზაცია	სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია(FAO)	თბილისი	რატი შავგულიძე - FAO-ს წარმომადგენლობა საქართველოში, ეროვნული პოლიტიკის მრჩეველი იამზე მირაზანაშვილი - FAO-ს წარმომადგენლობა საქართველოში, პროგრამის ასისტენტი	2 ინტერვიუ
8	საერთაშორისო ორგანიზაცია	შვეიცარიის თანამშრომლობის ოფისი სამხრეთ კავკასიაში (SCO)	თბილისი	სოფია სვანაძე - მრჩეველი გენდერის და მმართველობის საკითხებში, სახელმწიფო პროგრამის ოფიცერი ბექა თაგაური- პროგრამის უფროსი, ტექნიკური თანამშრომლობა, საქართველო თამუნა წივწივაძე - პროგრამის უფროსი ოფიცერი	2 ინტერვიუ
9	საერთაშორისო ორგანიზაცია	გაეროს ქალთა ორგანიზაცია	თბილისი	თამარ საბედაშვილი - პროგრამის სპეციალისტი	1 ინტერვიუ

#	ძირითადი ინფორმანტი	ორგანიზაცია	ადგილმდე-ბარეობა	შესაბამისი პირი	ჩატარებული ინტერვიუების რ-ბა
10	სახელმწიფო უწყება	რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	თბილისი	ნინო გიგუაშვილი - გენდერულ საკითხებზე საკონტაქტო პირი	1 ინტერვიუ
11	არასამთავრობო ორგანიზაცია	ქალთა საინფორმაციო ცენტრი	თბილისი	მაია რუსეცკი -ქალთა საინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელი	1 ინტერვიუ
12	არასამთავრობო ორგანიზაცია	ICCN (კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი)	თბილისი	მაია შარვაშიძე - ქალთა ოთახების კოორდინატორი ნანა ბერეკაშვილი -მოწვეული პროფსორი GIPA-სა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, ICCN-ის (კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი) ყოფილი წარმომადგენელი	1 ინტერვიუ
13	ექსტენციის სერვისი	საინფორმაციო საკონსულტაციო ცენტრი	თბილისი	შალვა კერესელიძე – რეგიონული კოორდინაციის სამსახურის უფროსი	1 ინტერვიუ
14	ექსტენციის სერვისი	საინფორმაციო საკონსულტაციო ცენტრი	სამეგრელო სამცხე-ჯავახეთი	იანა ემუხვარი - სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული სამმართველოს უფროსი სპეციალისტი მერაბ ნასყიდაშვილი - სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სამცხე-ჯავახეთის რეგიონული სამმართველოს მთავარი სპეციალისტი	2 ინტერვიუ
15	პროფესიული სასწავლებელი	განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	თბილისი	ირინა წეროძე – პროფ. სასწავლებლების დეპარტამენტის უფროსი	1 ინტერვიუ
16	პროფესიული სასწავლებელი	პროფესიული სასწავლებლები რეგიონებში	კახეთი სამცხე-ჯავახეთი სამეგრელო	ბელა ავალიშვილი - პროფესიული სასწავლებლის დირექტორი თეონა ხუფენია - პროფესიული სასწავლებლის რექტორი ნათელა პაპუნაშვილი - პროფესიული სასწავლებლის დირექტორი	3 ინტერვიუ
17	საინფორმაციო საკონსულტაციო ცენტრი	ვეტერინარი და /ან აგრონომი რეგიონში	კახეთი სამცხე-ჯავახეთი	ზურაბ ნასყიდაშვილი - ვეტერინარი ზურაბ ოქრუაშვილი - ვეტერინარი	2 ინტერვიუ
18	ALCP (მცირე კავკასიის ალიანსების პროგრამა)	Mercy Corps	თბილისი	ჰელენ ბრედბარი -გუნდის ლიდერი	1 ინტერვიუ
19	საბაზრო შესაძლებლობები საარსებო პირობების გასაუმჯობესებლად (MOLI Project)	HEKS/EPER	კახეთი	სტეფან იოსი - გუნდის ლიდერი	პრეზენტაცია
20	ერგნეთში დაბრუნებულთა საცხოვრებლებისა და შემოსავლის წყაროების აღდგენა (შიდა ქართლი)	დანიის ლტოლვილთა საბჭო	თბილისი	გაი ჰოვი - პროგრამის მენეჯერი	1 ინტერვიუ

#	ძირითადი ინფორმანტი	ორგანიზაცია	ადგილმდე-ბარეობა	შესაბამისი პირი	ჩატარებული ინტერვიუების რ-ბა
21	დანიის ლტოლვილთა საბჭო, გენდერული საკითხები	დანიის ლტოლვილთა საბჭო	თბილისი	თამარ ბოლქვაძე - მონიტორინგისა და შეფასების ოფიცერი / GMS რეგიონული კოორდინატორი (Focal Point)	1 ინტერვიუ
22	დაუცველი ოჯახების განსახლებისა და საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტი სამეგრელოში (დასავლეთ საქართველო)	დანიის ლტოლვილთა საბჭო	ზუგდიდი	მზევინარ ჯოჯუა - საარსებო წყაროების მენეჯერი	1 ინტერვიუ
Total Number of Interviews					30

Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

Swiss Cooperation Office
South Caucasus

WITH FUNDING FROM

AUSTRIAN
DEVELOPMENT
COOPERATION

UN WOMEN
United Nations Entity for Gender Equality
and the Empowerment of Women